ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 25 აგვისტო 1999 №161 (934) | ფასი 50 თეთრი


2

## ბათუმს იუვენტუსის ფარმ კლუბობა სურს

ჯანი კარნევალეს თქმით, ბათუმში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ცენტრი შეიქმნება. ჯერ თურქულ ბაზარს ავითვისებთ, შემდეგ კი გზას ევროპისკენ გავჭრითო

3

## ზაზა ჯანაშია დაშავდა

იოჰან ბოსკამპისთვის კი ეს სულერთია

8

## ბრაზიანი კაცის დაბრუნება



პალიუკა „ბოლონიაში“ გადასვლით ამაყობს

12

## ჯენი ტომპსონს ანტიკვარიატი უყვარს



ამერიკელმა მოცურავემ 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში 18 წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა




ჰიშამ ელ გურუჯიმ სევილიაში მაროკოს წითელი დროშა აფრიალა

# დროშები ჩქარა!

გუშინ სევილიაში კიდევ ექვს ოქროს მედალს გამოუჩნდა პატრონი და კიდევ ექვსი ქვეყნის დროშა აფრიალდა. მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ და ეთიოპიელმა ჰაილე გებრესელასიემ 1500 და 10000 მეტრზე ზედიზედ მეორედ იჩემპიონეს. დღის მთავარი მოვლენა კი 800 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებისას მოხდა. ჩეხმა ლუდმილა ფორმანოვამ ისეთ აღიარებულ ფავორიტებს აჯობა, მოზამბიკელი მარია მუტოლა და რუსი სვეტლანა მასტერკოვა რომ არიან.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# იუვე ისევ მარაქაშია

შარშანდელ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტ ტურინის „იუვენტუსს“ წლეულს მისთვის უჩვეულო ინტერტოტოს თასზე მოუხდა ასპარეზობა. ჩვენს ფოთის „კოლხეთს“ რომ ეყოჩაღა, ეგებ ბებერი ქალბატონი საქართველოშიც ჩამოსულიყო, მაგრამ... ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა ყოფილიყო, „იუვენტუსმა“ ორმატჩიან ფინალში ფრანგული „რენიც“ დაამარცხა, უეფას თასის პირველ რაუნდში მოხვდა და ამ თასის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატიცაა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი




რენი — იუვენტუსი 2:2. ზინედინ ზიდანი თანამემამულეებს უტევს

# ბათუმს იუვენტუსის ფარმ-კლუბობა სურს

## ჯანი კარნევალე და ფრანკო იანიჩი ტურინულ გრანდთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ



ჯანი კარნევალე



მარკო კანისტრალე



ფრანკო იანიჩი

**რა გამოვა** აქედან, არავინ იცის. ფაქტი ერთია: „ბათუმის“ იტალიელი თავკაცი ჯანი კარნევალე, „იუვენტუსის“ სელექციონერი, კარნევალეს მეგობარი ფრანკო იანიჩი, „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტის, მარკო კანისტრალეს თაოსნობით მეორე თვეა, მოლაპარაკებებს აწარმოებენ ტურინულ გრანდთან. „ბათუმს“ სურს, „იუვენტუსის“ ერთ-ერთი ფარმ-კლუბი გახდეს.

ეს ინფორმაცია რამდენიმე დღეა, არაოფიციალური არხებით „მოჟონავს“ ბათუმიდან, გუშინ კი თავად კანისტრალემ და კარნევალემ დაუდასტურეს ეს ფაქტი „ბათუმში“ მივლინებით მყოფ რუსული გაზეთის — „იზვესტიას“ კორესპონდენტს.

რა უნდა კარნევალეს? იგი არ მალავს, რომ თითქმის არ უმუშავია დიდების გუნდებთან და, ფაქტობრივად, ბავშვთა მწვრთნელია. კარნევალე კანისტრალესთან ერთად ბათუმში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ცენტრის შექმნას გეგმავს.

„ბათუმი“ აპირებს, კონკურენცია გაუწიოს „დინამოს“ და სხვა ქართულ კლუბებს ქართველი ტალანტების დაუფლებაში. ნიჭიერი ახალგაზრდები წელიწადში რამდენჯერმე შეიკრიბებიან და გაისინჯებიან ამ ცენტრში, შემდეგ კი დაიწყება მათი ტრანსფერებზე მუშაობა.

„ჩვენ, პირველ რიგში, ალბათ, თურქულ ბაზარს ავითვისებთ, შემდეგ კი გზას ევროპაშიც გავჭრით“ — ამბობს კარნევალე, რომელსაც „ბათუმთან“ სამწლიანი კონტრაქტი აქვს.

საამისოდ „ბათუმისთვის“ შენდება ახალი ბაზა სამი სტანდარტული მოედნით. „ბათუმის“ შემადგენლობის შერჩევისას კი აქცენტი 82-83 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებზე გაკეთდება.

„მე უპირველესად უნდა შევცვალო მათი მენტალიტეტი. არ არის აუცილებელი, მათ ყოველთვის გაიმარჯვონ, აუცილებელია იმუშაონ. მერე ათლეტურად მოვემზადებით, ტექნიკას მოვუმატებთ, ვასწავლი ფიქრს“ — ამბობს კარნევალე.

როგორც ამბობენ, მალე ოფიციალურად გამოცხადდება, რომ „იუვეს“ სელექციონერი ფრანკო იანიჩი „ბათუმის“ მენეჯერად იმუშავებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „იუვე“ თანამშრომლობის ხელშეკრულებას გააფორმებს. „ბათუმთან“ და ღარიბი ქვეყნის ღარიბ კლუბში დიდი ფული მოვა.

თუმცა რა გამოვა აქედან, არავინ იცის.

**სიმონ მენაბდე**

# ბელფასტში ალბათ იწვიმებს



მურთაზ ხურცილავა

**ხვალ** ჩრდილოირლანდიურ მიწაზე თბილისის „ლოკომოტივი“ უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველი წრის საპასუხო შეხვედრას გამართავს.

მეათე ეროვნულის ბრინჯაოს პრიზიორი რკინიგზელები დღეს დილით, ცხრის ნახევარზე, ჩარტერული რეისით ბელფასტს გაფრინდნენ, ადგილზე იქაური დროით ცხრის ნახევარზე ჩავლენ და სამვარსკვლავიან სასტუმრო „ექსპრესში“ დაბინავდებიან.

საქართველოს პაპანაქებისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ირლანდიაში საკმაოდ გრილა. ტემპერატურა დღისით 12-დან 16 გრადუსამდე მერყეობს. როგორც „ლოკომოტივის“ პრესცენტრიდან გვაცნობეს, არაა გამორიცხული, ბელფასტში შეხვედრის დღეს წამოწვიმოს. იმედია, ჩვენებურები წვიმიან ამინდშიც კარს მშრალად შეინახავენ. ეს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტია იქნება...

გუშინ წასვლის წინ „ლოკომოტივის“ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას შევეხმიანეთ. გავიგეთ „ლოკომოტივს“ ბელფასტში ტრავმის გამო შესაძლოა კაპიტანი და დაცვის ბურჯი პაატა ბარნოვი ვერ დაეხმაროსო. ამასთანავე რკინიგზელებს დისკვალიფიცირებულნი — მეკარე დავით ჯანელიძე და თავდამსხმელი მამუკა რუსია (მან შარშან „ბათუმის“ შემადგენლობაში იუგოსლავიურ „პარტიზანთან“ წითელი ბარათი მიიღო. ორთამაშიანი დისკვალიფიკაციიდან მამუკამ თბილისური მატჩი უკვე გამოტოვა) ვერ გაჰყვებიან.

სამწუხაროდ, ხურცილავამ დაგვიდასტურა, რომ პაატა ბარნოვი ტრავმირებულია. გადაწყდა, იგი „ლინფილდთან“ ბელფასტში ვერ დაეხმარებათ.

მურთაზ ხურცილავას წამსვლელ ფეხბურთელთა ვინაობაზეც ვკითხეთ.

— 17 ფეხბურთელი მიგვყავს, ყველანი ჯანზე არიან, არც საბრძოლო განწყობა აკლიათ, იმედიანად ვართ — იყო პასუხი.

დათო ჯანელიძის თბილისურ მატჩში გაძევებამ „ლოკომოტივს“ მეკარეების მხრივ პრობლემა შეუქმნა, ასლანაძე კი ჰყავთ, მაგრამ მას ხომ სრულფასოვანი შემცვლელი სჭირდება, ივარდავა კი საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელია, ამიტომაც გუნდში ლევან დოლაბერიძე მიბრუნდა, თუმც მისი უეფას განაცხადში შეყვანა ვერ მოხერხდა, დაგვიანებული იყო. ასე რომ, „ლოკომოტივი“ ბელფასტში ასლანაძისა და ივარდავას იმედადაა.

ჩვენც იმედიანად ვართ. გვწამს, 26 აგვისტოს საღამოს გავიხარებთ. გფარავდეთ უფალი...



„უინძორ პარკი“ ხვალინდელი შეხვედრის მოლოდინში

# დევიდ ჯეფრი ლოკომოტივს ემუქრება

ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ საქართველოში, მაგრამ თბილისიდან ბელფასტში მობრუნებული „ლინფილდის“ თავკაცი დევიდ ჯეფრი აღტაცებას ვერ მალავდა:

— ძალიან კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, ჩემი ფეხბურთელები გმირები არიან. თბილისში, თამაშის დღეს, ბიჭები თავს ძალიან ცუდად გრძნობდნენ. მათ საჭმელმა აწყინათ. მიუხედავად ამისა, ისინი ბრწყინვალედ თამაშობდნენ. ჩვენ ერთადერთი შეცდომა დავუშვით და „ლოკომოტივმა“ გოლის გატანა მოახერხა.

შესვენების შემდეგ სულ უფრო და უფრო მოვუმატეთ. ვფიქრობ, ქართველები მსაჯის საფინალო სასტვენს დიდი სიხარულით შეხვდნენ.

ამის შემდეგ დევიდ ჯეფრის „ლოკომოტივი“ არ გახსენებია. „ლინფილდი“ ჩემპიონატში ჩაერთო და 23 აგვისტოს „უინძორ პარკზე“ „კოლრეინი“ დაამარცხა.

დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. სტუმრებმა 24-ე წამზევე გაიტანეს გოლი, მაგრამ „ლინფილდმა“ ენტონი გორმანის ძალისხმევით მალევე შეიტანა გარდატეხა თამაშში. მორგანის (27) და ლარმურის (44) გოლებს 66-ე წუთზე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა გორმანმა ერთიც დაუმატა. „ლინფილდმა“ 3:1 მოიგო.

დევიდ ჯეფრიმ გუშინწინ ისევ გაიხსენა თქვენებური „ლოკომოტივი“.

— მე ვიცი, რომ ქართველები ტექნიკურ და კარგ ფეხბურთს თამაშობენ და უყვართ კონტრშეტევა. ჩვენი ამოცანაა, დაცვაში სულელური შეცდომა აღარ დავუშვათ.

სამწუხაროდ, ხუთშაბათს ვერ ითამაშებს „ლინფილდის“ საუკეთესო ბომბარდირი გლენ ფერგიუსონი (16 გოლი წინა ჩემპიონატში). გლენს 17 აგვისტოს კოჭის ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ჩვენი მეორე თავდამსხმელი ლარმურიც (13 გოლი წინა ჩემპიონატში) კარგ ფორმაშია. კელისა და ბეილისაც მეიმედება. ისინი თამაშს აკონტროლებდნენ თბილისში, აქაც თუ მოახერხეს, მაშინ...

„ლინფილდს“ დიდი შანსი აქვს, გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდეს — აცხადებს დევიდ ჯეფრი.

„კოლრეინთან“ მატჩში, თბილისურისგან განსხვავებით, ჯეფრიმ ოთხი ახალი ფეხბურთელი დააყენა — მეკარე მატჰერსი, მცველი მერფი, ნახევარმცველი მორგანი და თავდამსხმელი როგანი. მათ ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

„ლინფილდმა“ შემტევი ფეხბურთი ითამაშა და მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა, განსაკუთრებით სახიფათოდ მოქმედებდნენ მორგანი და გორმანი.

„ლინფილდისა“ და „ლოკომოტივის“ საპასუხო შეხვედრა აქაური დროით რვის ნახევარზე დაიწყება. ამ დროს თბილისში შუაღამე ახლოვდება. მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასი 3-დან 7 ფუნტამდე მერყეობს. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენებურ „ლოკომოტივს“ ბელფასტში ელიან.

**როი ძიტსონი ბელფასტიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

**ლინფილდი 3:1 კოლრეინი**

ლინფილდი: მატპერსი, მაკდონალდსი, ისტონი, კელი, მერფი, მორგანი, ლარმური, გორმანი, გალაგანი, მარქსი, ბეილი (როგანი)



„ლინფილდის“ მეგოლე გლენ ფერგიუსონი ხვალ ვერ ითამაშებს

# მაიმუნიდან ცხვრამდე

ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘ თბილისის „დინამოდან“ წავიდა. თანაც ისეთ დროს, ჯერ ჩამოსულიც რომ არ გეგონებოდა კაცს. ამ „წასვლას“ ცოტა ისეთი სუნი უდის, ადრე „დეფიციტში გარლევევის მქონე“ დირექტორებს რომ „ხსნიდნენ“ ხოლმე და ამიტომაც გადავწყვიტეთ, სათქმელი ჩვენებურადაც ვთქვათ. მაშ ასე: ვერ მოუგო ბოსკამპის „დინამომ“ „ზიმბრუს“ და „დეფიციტში გარლევევის მქონე დირექტორი“ — იოჰან-მარცხიანიც გუნდს დასცილდა.

ამ ეტაპზე არ გვაინტერესებს არც მიზეზი, არც შედეგი ბოსკამპის გუნდიდან გაშვებისა. ჩვენი მიზანია საკითხის ამგვარად დაყენება — რამდენად სამართლიანია სტრატეგიულად (ხაზს ვუსვამთ) ჰოლანდიელის „დინამოდან“ წასვლა?

დავიწყოთ იმით, რომ ორი თვის განმავლობაში არც ერთ მწვრთნელს არც ერთი ქვეყნის არც ერთ გუნდში არავითარი შედეგისთვის არ მიუღწევია — გუნდის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია და ერთხელაც გავიმეორებთ — თსუ-ს ვერმომგები „დინამო“ რომ ჩემპიონთა ლიგაში მოახვედრო, ორი თვის მაგიერ ორი წელია (თუ გეყო) საჭირო.

საკვირველია: ნუთუ მართლა სჯეროდა ვინმეს, რომ მყვირალა ჰოლანდიელი მართლა ჩაგვახუტებდა ჩემპიონთა ლიგის საგზურს? პირადად მე ამ სიტუაციაში ჩემპიონთა ლიგაზე ლაპარაკი, ყველაზე რბილ სიტყვას ვიხმარ, გულუბრყვილობა მგონია და მეტი არაფერი.

ყბად ავიღეთ შარშანდელი სპარინგი ბასკურ „ატლეტიკთან“, აქაოდა ლიგამდე ერთი ნაბიჯი გვაკლდაო... რატომღაც ყველა დუმს იმაზე, რომ „ატლეტიკამდე“ „დინამო“ ალბანურ „ვლაზნიასთან“ პირწმინდად დამარცხდა და რომ არა ჰუსენ დედია („ვლაზნიას“ მწვრთნელი), „დინამო“ ბილბაოს ისევე ვერ ნახავდა, როგორც დე სოუზას ველარ იხილავს ამიერიდან.

სიტყვამ მოიტანა და ამ ზორბა ბრაზილიელზეც უნდა ითქვას ერთი-ორი. „ზიმბრუსთან“ მარცხის მთავარ „შემოქმედად“ ანდრე სილიუ იქცა საქართველოში — მას ადანაშაულებს ყველა, ქომაგი, მასმედია, თანაგუნდელი, მაგრამ მარტო სოუზას „გალუნულ სამიზნეშია“ საქმე?! მოლდოვურ მატჩში ვერც სხვა დინამოელები ფრენდნენ მაინცდამაინც და ერთ კაცზე თანაგუნდელების მიერ მსგავს გალაშქრებას ცოტა სხვანაირი სუნი უდის...

ხუთი ასპროცენტიანი გააცუდაო... ცარიელ კარში ააცილაო... არ გვეყურებინა მაინც. რაც შეეხება „ცარიელ კარში აცილებას“, ის მომენტი ბრაზილიელმა თავად უფრო შექმნა — ჯერ ორი კაცი „ათრია“, მერე მეკარეს დაასწრო და საჯარიმოს ხაზიდან ბრძოლაში დარტყმული ააცილა კარს. ის მომენტი თავისი საგოლე აუცილებლობით ახლოსაც ვერ მივიდოდა წიტაიშვილის მიერ ხუთიოდე მეტრიდან გამოუყენებელ შანსთან. თუმცა კი მისი ხსენება რატომღაც არავის მოსვლია აზრად.

საერთოდ, მე თუ მკითხავთ, მირჩევნია, ფეხბურთელმა ხუთი მომენტი გააცუდოს და შესაბამისად, ხუთჯერ წამოახტუნოს ქომაგი, ვიდრე შეხვედრის განმავლობაში ხუთჯერ ვერ შეეხოს ბურთს (როგორც ეს ბევრ ჩვენებურს მოსდის).



მამა ზურაბი დინამოელებს გიორგი ლომაიას, მიხეილ აშვეთიას, გიორგი შენგელიას, კობა წიტაიშვილსა და მათ თანაგუნდელებს მოძღვრავს და ლოცავს

თავის გულში ჩაიხედოს ყველამ — მწვრთნელმაც, ფეხბურთელმაც, ოპონენტმაც, ნეიტრალმაც: არის კი თბილისის „დინამო“ ამ ეტაპზე ის გუნდი, რომელიც თუნდაც მოლდოვის „ზიმბრუს“ დაამარცხებდა? ნუ დავივიწყებთ, „ზიმბრუ“ იმ ქვეყნის ჩემპიონია, სადაც თქარათქურით გარბიან ქართველი ფეხბურთელები და სხვათა შორის, ამჟამინდელ დინამოელებზე არაფრით ნაკლები მოთამაშეები. „დინამომ“ კი მას მერე „ბათუმთან“ წააგო... „არსენალთან“ წააგო... ალბათ, კიდევ წააგებს. მაგრამ ეს არც მწვრთნელის ბრალია, არც ფეხბურთელების. ეს უპირველესად მარადი ჩემპიონის არასწორი სტრატეგიისა და საკადრო პოლიტიკის ბრალია.

წლების მანძილზე ყოველწლიურად „დინამო“ ნალებს ხდის ქართულ ფეხბურთს, თავისთან იწვევს საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებს. მერე ასხვისებს, ანათხოვრებს, ყიდის და შედეგად თვითონვე ხდება წაგებული — მინდორზე, ფინანსურადაც. შესაბამისად, ეცემა მარადი ჩემპიონის კლასი, სათამაშო დონე.

იქამდეც მივიდნენ „დინამოს“ ფეხბურთელები, რომ მწვრთნელის საქმეში ერევიან, ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადების ხერხებს და მეთოდებს უწუნებენ — დაგვტანჯა, მოგვსპო, გამოგვფიტაო... არა, ბიჭო, ის ჩიტია ბოსკამპი, დაჭერობანას ათამაშებს ფეხბურთელებს. სხვისი არ ვიცი და კალაძეს მოსწონდა, ქეცბაიას მოსწონდა, დემეტრაძეს მოსწონდა, ნემსაძეს, ყაველაშვილს... ამ ფეხბურთელებისაც არ მჯეროდეს?!

ნუ გადავტეხთ ჯოხს მარტო ბოსკამპზე და სოუზაზე, ეს, სხვა თუ არაფერი, სამართლიანი არ იქნება. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. დრო, რომლის განმავლობაშიც კიდევ ბევრი მწვრთნელი გაიქცევა, საქართველოდან თუ არა, ქართული ფეხბურთიდან მაინც.

ოთარ კორღალიძეს კი, „დინამოს“ ახალ თავკაცს, ყველაზე მეტად ნერვების სიმტკიცეს ვუსურვებთ. მაგარი გაძლება გინდა კაცს, ახლა „დინამოს“ მწვრთნელობაზე ხელი რომ მოაწერო.

ცხვარი მიუყვანია ბაზაზე ბატონ ოთარს. გუნდი აჭრილია და ეგებ ღმერთი შეგვეწიოსო — ასე უთქვამს. სწყალობდეთ უფალი დინამოელებს, ოღონდ ეს ახსოვდეთ: ხელი, თავი, ფეხი გაანძრიონ და ღმერთიც მხოლოდ მაშინ შეეწევათ.

მაიმუნი გაუხლეჩიაო პაიჭაძეს ბურთით — სჯეროდა ხალხს. დღევანდელ ფეხბურთში მაიმუნებისა აღარავის სჯერა — ხალხს გოლი ენატრება და გოლისა სჯერა.

**ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# წყვილები ცნობილია, ორ დღეში კი თამაშებია

აჰა, ორ დღეში სათასო სეზონიც იწყება. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა საქართველოს თასის 1999-2000 წლების გათამაშების პირველი ეტაპის წილისყრა მოაწყო.

ამ ეტაპზე ის გუნდები ჩაერთვებიან, რომლებმაც რეგიონულ ლიგაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

კენჭისყრა, დებულების თანახმად, ტერიტორიული პრინციპით ჩატარდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კლუბები ერთად დაწყვილდნენ. თუ აღმოსავლეთში ასე თუ ისე ცნობილი გუნდები არიან, დასავლეთში ახალი სახელების სიჭარბეა: „გურია“, „ინტერი“, „მეტალურგი“, „მეგრი“ (ყოფილი „ოდიში“), „ლაზიკა“.

თასის პირველ ეტაპზე გუნდები ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს. მასპინძლად ისინი იქნებიან, რომლებიც წყვილში პირველად არიან დასახელებულნი. ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება 15-15 წუთიანი დამატებითი ტაიმები, ყოველგვარი „ოქროს გოლის“ გარეშე. თუ ეს დროც ფრედ დასრულდა, როგორც მიღებულია, გამარჯვებულთა ვინაობას მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანები გაარკვევს.

ერთი სიტყვით, 27 აგვისტოს, 18 საათზე შემდეგი წყვილები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს:

| | | |
|---|---|---|
| ᲘᲕᲔᲠᲘᲐ (ᲮᲐᲨᲣᲠᲘ) | — | ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ (ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ) |
| ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ | — | ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ |
| ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ | — | ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ (ᲙᲐᲡᲞᲘ) |
| ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ 2 (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) | — | Ს. Ქ. ᲘᲑᲔᲠᲘᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) |
| ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 2 (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) | — | ᲡᲐᲣ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) |
| ᲖᲝᲠᲕᲔᲢᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) | — | ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ (ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ) |
| ᲕᲐᲠᲫᲘᲐ (ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐ) | — | ᲗᲝᲠᲘ (ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ) |
| ᲪᲮᲣᲛᲘ (ᲡᲝᲮᲣᲛᲘ) | — | ᲨᲡᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) |
| ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 2 (ᲤᲝᲗᲘ) | — | ᲨᲣᲫᲣᲠᲐ (ᲫᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ) |
| ᲒᲣᲠᲘᲐ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) | — | ᲙᲝᲚᲔᲯᲘ (ᲑᲐᲗᲣᲛᲘ) |
| ᲘᲜᲢᲔᲠᲘ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ) | — | ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ (ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ) |
| ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ (ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ) | — | ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ (ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ) |
| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲒᲐᲒᲠᲐ) | — | ᲝᲙᲔᲐᲜᲔ (ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ) |
| ᲛᲔᲒᲠᲘ (ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ) | — | ᲡᲫᲣᲠᲘ (ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ) |
| ᲡᲣᲚᲝᲠᲘ (ᲕᲐᲜᲘ) | — | ᲘᲑᲔᲠᲘᲐ 2 (ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ) |
| ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ (ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ) | — | ᲚᲐᲖᲘᲙᲐ (ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ) |



ალექსანდრე კრიჭაშვილი

# ცხრიანოსნები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფეხბურთის ფედერაციამ ერთი კარგი საქმე გააკეთა — ჩემპიონატის ყოველი ტურის რვა მატჩის მომსახურე მსაჯთა ბრიგადებიდან საუკეთესოს აარჩევენ და ფინანსურად წაახალისებენ.

რა კრიტერიუმით შეირჩევა საუკეთესო ბრიგადა? ეს უმთავრესად თამაშის სიმძიმის ხარისხზეა დამოკიდებული და მატჩზე ფედერაციიდან მივლენილ დელეგატზე.

პირველ ტურში საუკეთესოდ გორის „დილა“ — თსუ-ს მსაჯები დაასახელეს. შეხვედრის სიმძიმე 3 ბალად შეუფასებიათ, თბილისელ არბიტრს კრიჭაშვილს კი დელეგატმა შოთა ხინჩაგაშვილმა 9-იანი დაუწერა.

კრიჭაშვილს გორში ქუთაისელები — დოგრაშვილი და კიკაჩეიშვილი და თბილისელი ხარიტონაშვილი ეხმარებოდნენ.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ზაზა ჯანაშია დაშავდა
## ბოსკამპისთვის სულერთია

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ მკითხველს ემახსოვრება: როდესაც ზაზა ჯანაშია საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში მან განაცხადა — მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ წასვლას არ ვჩქარობ, რადგან გუნდს რუსეთის ჩემპიონატში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის კარგი შანსი და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შესაძლებლობა აქვსო. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ — „ლოკომოტივი“ წლეულს მართლაც ძლიერად თამაშობს და არც მის ჩემპიონობაზე საუბარია საფუძველს მოკლებული.

რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, იგი რა ხანია, თავისი გუნდის ლიდერია და ამდენად, მის რომელიმე მატჩში მონაწილეობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაცაა, მოსკოვის „დინამოსთან“ სტუმრად მოგებული თამაშის მერე რკინიგზელთა მწვრთნელი იური სიომინი დანანებით საუბრობდა ჯანაშიას ტრავმის შესახებ — ზაზას ბარძაყის უკანა კუნთი დაეჭიმა და უახლოეს შეხვედრებში „ლოკომოტივს“ ვერ დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, ბელარუსის „ბატესთან“ 26-ში და სამარის „კრილია სოვეტოვთან“ 28-ში მატჩებს აუცილებლად გამოტოვებს. ის კი, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს ჯანაშიას ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა, ჯერჯერობით უცნობია.



ზაზა ჯანაშია

საქართველოს ნაკრების ჰოლანდიელი თავკაცის, იოჰან ბოსკამპისთვის კი სულ ერთია, ბარძაყი ეტკინება ჯანაშიას თუ თეძოს ძვალი, იგი ქვეყნისთვის საუკეთესო ფეხბურთელს პრინციპულად არ იწვევს ნაკრებში.

**ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# ანატოლი ბელოვი: განწირულები ვართ!

ზუსტად ორი კვირის წინ, 11 აგვისტოს იყო, ქუთაისის „ტორპედო“ ესტონეთს რომ გაემგზავრა იქაურ „ლანტანასთან“ უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩის გასამართად. გაემგზავრა და, კარგად უწყით, ბედიერი ადინა მეტოქეს. ჩვენმა ბიჭებმა მონდომებით, ლაღად ითამაშეს, ხუთი უპასუხო ბურთი გაიტანეს და ევროტურნირის შემდგომ ეტაპზე გამოსვლის უფლება პრაქტიკულად ტალინში გაინაღდეს.

თუმცა, მოდით ნუ აჩქარდებით, წესი წესია, ავერ საპასუხო მატჩიც მოახლოვდა და, რამდენადაც ფორმალური არ უნდა იყოს იგი, წყვილში გამარჯვებულს ხომ ორი თამაშის შემდეგ ასახელებენ.

„ლანტანა“ ჩვენკენ დღეს მოფრინავს მოსკოვი — ქუთაისის რეისით. როგორც „ტორპედოს“ მესვეურებმა გვაცნობეს, კოპიტნარის აეროპორტიდან სტუმრებს ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში გადაიყვანენ და იქვე დააბინავებენ.

ხვალ კი, მოგეხსენებათ, თამაშია და გაახლებული — გალამაზებული გივი კილაძის სახელობის სტადიონიც მზადყოფნაში ხვდება უეფას. ადრეც ვწერდით, სტადიონზე დიდი მოცულობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა და ახლა ეს არენა სავსებით აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპისთვის რისი გაკეთებაც იყო საჭირო, დროულად მოესწრო. რაც მთავარია, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე 7 200 ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდა და ეს ზღვარი არ არის, ოღონდ „ტორპედომ“ ივარგოს და სულ მალე ოთხივე ტრიბუნას შემოსავენ. სახვალიოდ კი ტაბლოც მწყობრში იქნება, გუნდების ვინაობას და ანგარიშს ისიც გვამცნობს. როგორც იცით, ჟურნალისტებისთვის ჯერ კიდევ შარშან გამოჰყვეს 24 ადგილი გადახურულ ლოჟაში. ამ 24-ს ახლა 32-იც დაემატა, ოღონდ ეგ არის მეორე რიგში და ღია ცის ქვეშ (თუ არ იწვიმა, ხომ კარგი).




ასე გამოიყურება „გივი კილაძის“ ადმინისტრაციული შენობის ფასადი

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ჰო, ხვალ თამაშია და „ტორპედო“ ამ თამაშს გულდამშვიდებული არადა, კარგ გუნებაზე („დილა“ თუ არ გაახსენდა) კი უნდა შეხვდეს. სულ სხვა, საპირისპირო განწყობა უნდა სუფევდეს ესტონელ რუსთა ბანაკში. ასეც არის.

განწირულები ვართთ, არ დაგვიმალა „ლანტანას“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბელოვმა, ამასწინათ რომ შევეხმიანეთ.

**— ბატონო ანატოლი, ტალინში თამაშის დამთავრების შემდეგ თქვენთან სასაუბროდ დრო არ გვქონდა, ახლა მაინც გვითხარით, რა აზრისა ხართ პირველ მატჩზე?**

— რა აზრისა უნდა ვიყო, განა 0:5-ით ყველაფერი ნათქვამი არ არის?!

**— და მაინც...**

— ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მალევე, მეორე წუთზე მივიღეთ გოლი. ძალზე ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, ბიჭებს გამოცდილება აკლიათ, პირველმა გოლმა კი მათ ხასიათი ისე წაუხდინა, რომ ველარ აეწყვნენ. „ტორპედო“ ჩვენზე ბევრად უკეთესი, სწრაფი და ტექნიკური გუნდია, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ნახევარი საათი მაინც რომ გაგვეძლო, სულ სხვა თამაში წავიდოდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ანგარიშით არ დავმარცხდებოდით.

**— გამოუცდელობა გასაგებია. მარტო ეს იყო თქვენი სისუსტე?**

— ჩვენ გუნდს ბევრი ნაკლი აქვს. ამას ვერც დავმალავ, თავადაც შეამჩნევდით. ყველაზე მეტად მაინც თავდასხმამ გამაწბილა, ასე უნიათოდ თუ ითამაშებდა, ვერც წარმოვიდგენდი.

**— თქვენ აქ, ალბათ, უფრო ვიტალი ლეიტანთან გექნებათ პრეტენზიები. ჩვენც ბევრი გვსმენია მასზე, მის ბომბარდირობაზე, მაგრამ რაღაც არ ჩანდა მოედანზე...**

— გითხარით, თავდასხმამ გამაწბილა, ვალუისკიმაც და ლეიტანმაც. ლეიტანი ხომ პირდაპირ მაოცებს. ვერ გამიგია, რა დაემართა ამ ბიჭს. ივნისში იგი გერმანული რეგიონალლიგის ერთ-ერთ გუნდში გახლდათ გასინჯვაზე, იქედან დაბრუნებულს მართლა ველარ ვცნობ. არ დარბის, არ იბრძვის. არადა, მანამდე სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა, ბევრიც გაჰქონდა. გამოგიტყდებით, „ტორპედოსთან“ ლეიტანის დიდი იმედი მქონდა, მაგრამ არ გამიმართლა. ერთხელაც არ დაურტყამს კარისკენ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი ბრალი არ იყო, თქვენი მცველები ფხიზლობდნენ.

**— სხვებზე რას იტყვით, ნუთუ ყველასი უკმაყოფილო ხართ?**

— გაგიმეორებთ, 0:5-ის შემდეგ კმაყოფილი რით უნდა ვიყო.

**— მაშინ ტორპედოელებზე გვითხარით, მათში ვის გამოარჩევდით?**

— იცით, თამაშის დროს ჩემი გაჭირვება მქონდა, ტორპედოელებს ცალ-ცალკე არ დავკვირვებივარ, საერთო ჯამში კი „ტორპედოზე“ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა.

**— მაინც, რა დონის გუნდია „ტორპედო“?**

— ასეთ თამაშში ძნელია გუნდის დონის განსაზღვრა. მოედანზე ხომ, ფაქტობრივად, ბრძოლა არ იყო. თანაც თამაში „ტორპედოსათვის“ იღბლიანად აეწყო. „ტორპედო“ დაახლოებით იმ დონის გუნდია, რაც თბილისის „დინამო“. „დინამოსთან“ ჩვენ ადრე გვითამაშია, აქ ესტონეთში და თანამეგობრობის თასზეც. საერთოდ ქართულ ფეხბურთს დიდ პატივს ვცემ.

**— [illegible] პერიოდისას?**

— უფრო [illegible] მაგრამ [illegible] ფეხბურთელი გყავთ.

**— თუ შეიძლება, საკუთარ თავზე გვითხარით. ვიცით რომ ადრე ბერძნულ — რომაულ ჭიდაობას მისდევდით...**

— მართალია, ვჭიდაობდი და კარგა ხანს ჭიდაობის მწვრთნელადაც ვიმუშავე, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულმა მაინც გადამძალა. უფროს ვაჟთან სერგეისთან („ლანტანას“ მოთამაშე პრეზიდენტი გახლავთ — ი.კ.) ერთად საფეხბურთო კლუბს ჩავუდექი სათავეში. მერე უმცროსი ვაჟი ალექსანდრეც შემოგვიერთდა, იგი კლუბის მენეჯერია. ასეა, ბელოვები ვარჩენთ კლუბს. ჩვენი მცირე ბიზნესი გვაქვს და თუ რამეს ვშოულობთ, ფეხბურთს ვახარჯავთ. რა თქმა უნდა, გვიჭირს გუნდის შენახვა. ამის გამოა, რომ იძულებულნი ვართ საუკეთესო მოთამაშეებს შეველიოთ. მართლა კარგი ფეხბურთელი გვყავდა — სერგეი ბრაგინი. „ლევადიას“ იგი მხოლოდ იმიტომ მივყიდეთ, რომ სათანადო გასამრჯელოს ვერ ვაძლევდით. „ლევადია“ ახლა ლიდერია, ჩვენ კი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გვიწევს ბრძოლა. რა გაეწყობა, უკეთესი მომავლის იმედი გვაქვს, წარსული კი საამაყო — ესტონეთის ორგზის ჩემპიონები ვართ.

**— თქვენ მაინც თვითნასწავლი მწვრთნელი ხართ. არ გიძნელდებათ მუშაობა?**

— რა თქმა უნდა, ფეხბურთის ცოდნით და გამოცდილებით დავით ყიფიანს ვერ შევედრები. მე ფეხბურთი მიყვარს და, ასე თუ ისე მესმის, ეს კი რაღაცას მაინც ნიშნავს.

**— ანდრეი კრასნოპიოროვის ამბავი გვაინტერესებს. ახალი ხომ არაფერია?**

— კრასნოპიოროვი ძლიერ გვაკლია, საიმედო მცველია და მოსკოვის ცსკა-ს იგი შემთხვევით არ წაუყვანია გასინჯვაზე. ეგ იყო, ფეხბურთელს სერიოზული ავადმყოფობა აღმოაჩნდა — ვენების ვარიკოზული გაგანიერება და საოპერაციო შეიქნა. ანდრეიმ ამ დღეებში გაიკეთა ოპერაცია და თავს კარგად გრძნობს. ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში იგი გუნდს დაუბრუნდება.

**— ქუთაისში რისი იმედი გაქვთ?**

— რა იმედზეა საუბარი. პირველი მატჩის შემდეგ განწირულები ვართ. ჩვენი ამოცანა ის იქნება, ისე არ შევრცხვეთ, როგორც ტალინში.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**
**ავტორის ფოტოები**



„ლანტანას“ მოთამაშე პრეზიდენტს სერგეი ბელოვს გზას ზაზა ვაჩიბერაძე (მარჯვენი) ულობავს

## ლანტანა ფრით მოფრინავს

უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქემ, ესტონურმა „ლანტანამ“ ჩემპიონატის მორიგი, მე-18 ტურის შეხვედრა გამართა. წინა ტურში მაარდუს „ლევადიასგან“ 0:4-ით განადგურებულმა ტალინელებმა 20 აგვისტოს გათამაშების აუტსაიდერს, „იოჰვის“ უმასპინძლეს. სუსტ მოწინააღმდეგესთან „ლანტანა“ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. მასპინძელთაგან გოლი ნახევარმცველმა ჩელნოკოვმა გაიტანა.

ასე რომ, „ტორპედოს“ მეტოქემ ვერც ქუთაისში გასამართი საპასუხო მატჩის წინ გამოიკეთა განწყობილება. ახლა არ მითხრათ, ძალები შემოინახაო...

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევადია | 18 | 15 | 3 | 0 | 49:7 | 47 |
| ტულევიკი | 17 | 9 | 3 | 5 | 37:21 | 30 |
| ფლორა | 16 | 8 | 5 | 3 | 41:18 | 29 |
| ტრანსი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:22 | 20 |
| ლეილე | 18 | 4 | 6 | 8 | 19:30 | 18 |
| ტალინი | 18 | 3 | 7 | 8 | 9:22 | 18 |
| ლანტანა | 19 | 3 | 7 | 9 | 19:39 | 16 |
| იოჰვი | 17 | 2 | 6 | 9 | 7:46 | 12 |




12 აგვისტო, ტალინი. „კადრიორგი“. 0:5-ით ყველაფერი ნათქვამია



ტალინის აეროპორტში. მოვიგეთ და... კარგია ესტონური ლუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

# დინამოს ლოცვა უშველის?

„დინამომ" ისევ წააგო, დამარცხდა თავისი მწვრთნელის ყოფილ კლუბთან. ჩემპიონები სასოწარკვეთილნი და გამწარებულები არიან. ვერ გაუგიათ, რა ემართებათ. ზოგიერთს განტევების ვაცად ბოსკამპი გამოჰყავს, ზოგიც ჯადოს აბრალებს ყველაფერს.

გუშინწინ „დინამომ" ცხვარი იყიდა. დაწყევლილები ვართ და უნდა გამოვილოცოთო. გუშინწინ კი სალოცავად იყვნენ, ღმერთს შეჰღაღადეს, ცხვარი შესწირეს.

ღვთის მადლი ნუ მოჰკლებოდეს „დინამოს", მაგრამ ძალაუნებურად ის კაცი მახსენდება, მდინარეში რომ იხრჩობოდა და ღმერთს შველას სთხოვდა. ალბათ, ისიც გაგახსენდებათ, ღმერთმა რა გადმოსძახა — გააქნიე ხელი და გეშველებაო.

„დინამოს" ღვთის წყალობა არ აკლია და ამდენი წუწუნით თავს ნუ შეაწყენენ მამაზეციერს, მართლა არ გაანაწყენონ. ღმერთმა გაგვწირაო, რომ გაიძახიან და მიზეზად ძელს თუ ხარიხას მორტყმულ ბურთებს ასახელებენ, რატომ ავიწყდებათ, რომ იგივე ძელს მორტყმული ბურთი არასწორად შესრულებული დარტყმის შედეგია?!

ის, რაც „დინამოს" სჭირს, ადრეც იყო მოსალოდნელი. თითქმის ცხრა წელია, გუნდი სისხლისგან იცლება. ცხრა წელია მიდიან ფეხბურთელები, გაზრდით კი თითო-ოროლა თუ იზრდება. იმათაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი.

ჩემპიონთა უბედურება ისიც არის, რომ გუნდში ლიდერი არა ჰყავთ. „დინამო" რიგითი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ, რიგით გუნდად გადაიქცა. ახლა მისი არავის ეშინია, „დინამოსთან" გასახდელში თამაშს არავინ წააგებს. სწორედ ეს დაამტკიცა შაბათს „არსენალმა". არმიელებმა ითამაშეს პრაქტიკულად, ითამაშეს თავგანწირვით და გაუმართლათ კიდეც.

ნუთუ ოთარ კორღალიძეს მართლა სჯერა, რომ „დინამო" გათვალული და დაწყევლილია?! რატომღაც არ გვგონია. მწვრთნელი ამბობს, მომდევნო ტურიდან ყველაფერზე მე ვაგებ პასუხსო. კორღალიძეს „ბათუმსა" და „არსენალზე" არაფერი უთქვამს.

ისე, თავის დროზე ყველაფერი კარგია, ლოცვა და ცოდვათა მონანიება, აუცილებელი. ფეხბურთელს სხვასთან ერთად ცოტა მეტი სირბილი და ფიქრიც არ აწყენდა. მხართეძოზე კოტრიალით რომ არაფერი გამოვიდა, ხომ ფაქტია.

„დინამო" მარტო ღვთის იმედად რომ არ არის, ესეც სიმართლეა. კლუბის ხელმძღვანელები გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობენ და ბაზაზე გიორგი ანჩაბაძეც დაუბრუნებიათ, რომელიც ბოლოს ბელგიური (თუ ქართული), „რასინგ-მეხელენიდან" გვახსოვს.

სანამ „დინამო" ქულებს უაზროდ ფანტავს და განცდებშია, სხვები ვარგობენ. „ვიტ ჯორჯიამ" უდანაკარგო ორი ტური მიითვალა და „ა" ზონის ლიდერად იქცა. ვეტერინარებს „სიონთან" კარგი ბურთაობა ვერ გამოუვიდათ, მაგრამ რაც აკეთეს, სტუმართა დასამარცხებლად ეყოთ. მიუხედავად ხარვეზებისა, „ვიტ ჯორჯიას" მაინც ეტყობა, რომ გუნდია და გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. ვეტერინარებისგან უფრო მეტს მოველით.

„სიონი" კი მთლად ხელწამოსაკრავი არ გახლავთ. ცოტაც და შევა ფორმაში დავით გოდერძიშვილი, მისი მოგვარეც გამოკეთდება და დაცვაც უფრო ლალაგდება. არა მგონია, ბოლნისელებს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდეთ.

მოიგო „ლოკომოტივმა", მაგრამ „სამგურალს" ამითი რა ხეირი?! წყალტუბოელებს მხოლოდ მეორე ტაიმში გაახსენდათ, რომ აგებდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. რკინიგზელებმა პირველ ტაიმშივე აკეთეს საქმე. ახლა მათი საფიქრალი „ლინფილდია".

ახალგაზრდა „თბილისი" კარნევალეს „ბათუმს" უგებდა. მასპინძელთა გოლი მთლიანად გიორგი მიქაძის ინდივიდუალური გარჯის ნაყოფი იყო. თბილისელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ტოგონიძემ ითამაშა შესაშურად.

მერე გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ, რასაც მაჭუტაძის გოლი მოჰყვა. ამის მერე უპირატესობას კი ფლობდნენ და კარნევალემაც შგირდებზე ნაკლებად როდი იაქტიურა, მაგრამ თამაშში მეტი გოლი არ გასულა. ისე, არც მასპინძლებს გამოუმჟღავნებიათ რაიმეს შეცვლის სურვილი.

ხობში „კოლხეთი" ბევრს ეცადა, წინა ტურის მიღწევა გაემეორებინა, მაგრამ „მერანიც" კერკეტი კაკალი გამოდგა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხობელები ორგანიზებულად შეხვდნენ ჩემპიონატის გახსნას. ისე, „კოლხეთზე" ეროვნული ჰიმნიც რომ აჟღერებულიყო, მთლად უნაკლოდ ჩატარდებოდა ცერემონიალი.

„ტორპედომ" კი მისთვის დასანანი ორი ქულა დაკარგა და არავინ იცის, ეს როდის და როგორ იჩენს თავს. მსგავსი უპირატესობის ხელიდან გაშვებაც გასაკვირია, არადა, ხომ იგებდნენ ქუთაისელები 2:0-ს. ბოლოს მეტოქეს რომ ვერაფერი მოუხერხეს, ერთმანეთს დაუწყეს კამათი. ამ მხრივ თავი მეკარე ჭანტურიამ და გოგიაშვილმა დაგვამახსოვრეს. ჭანტურიამ მაყურებელსაც არ დააკლო „ტკბილი" სიტყვები.

„დილამ" კი ნაღველი გაიქარვა. ამასწინდელი 1:5 „ტორპედოს" მაინც არ აპატია, თსუ-სთან დაკარგული ორი ქულაც დაივიწყა და ახლა ფოთელთა დასახვედრად ემზადება. არა, მართლაც უცნაური გუნდია „დილა".

როგორც იქნა, მოიგეს ფოთელებმა, თუმცა რუსთაველთა ძლევა აქტივში ვერაფრით ჩაეთვლებათ. ვინ იცის, იქნებ გატეხეს, კოლხებმა ნავსი?!

„გორდას" ძმობა და მეგობრობა თუ უშველის, საკითხავი ეს არის. ჯერჯერობით, ალადაშვილის ბიჭები სასიკეთოს ვერაფერს დაიკვეხნიან.

სამტრედიის „იბერიამ" ორი ფრე ისე გააგორა, საკუთარ სტადიონზე თამაში არ ღირსებია. არც იციან, როდის მოუწევთ და არიან ასე, ქალაქქალაქ სიარულში.

თსუ-ს ხუთი მოთამაშე აკლდა, ზოგი ტრავმირებული, ზოგიც დისკვალიფიცირებული და „იბერიასთან" ფრეს დასჯერდა, თუმც თამაშიდან გამომდინარე მეტიც არ ეკუთვნოდათ. ასეთი გარჯით კოტე დოლიძის ბიჭებს მეტად გაუჭირდებათ.

მეორე ტურის რვა მატჩიდან ოთხში მასპინძლებმა იმარჯვეს, ოთხი კი ფრედ დამთავრდა. სულ 19 გოლი გავიდა, ორით ნაკლები, ვიდრე პირველ ტურში.

**მამუკა კვანტალიანი**

## სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| გიორგი ძორიძე | ვიტ ჯორჯია |
| გოჩა ტრაპაიძე | კოლხეთი |
| კახა გოგიჩაიშვილი | ლოკომოტივი |
| ირაკლი თარგამაძე | არსენალი |
| ქრისტეფორე შატაკიშვილი | დილა |
| ზურაბ არჩვაძე | ბათუმი |
| გიორგი ჩიხრაძე | ლოკომოტივი |
| მალხაზ მახარაძე | ბათუმი |
| მიხეილ ქობულაძე | ლოკომოტივი |
| ბადრი ახვლედიანი | ტორპედო |
| თემურ ჩლაიძე | არსენალი |

გუნდი: არსენალი

მწვრთნელი: დავით ჩახავა არსენალი

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 თბილისი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

| «ბ» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 ხობი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 3 კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 დილა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 მერანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 6 იბერია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 თსუ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 გორდა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

## «ა» ზონა

თბილისი
21 აგვისტო
18 საათი
ისანი
1 500 (ტევადობა 3 000)

### არსენალი 2:0 დინამო

1:0 ხოსროშვილი (40), 2:0 ტარიელაშვლი (85)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, მ. მაისურაძე, თარგამაძე, ხოსროშვილი (კაკაშვილი 77), ამირიძე, ტარიელაშვილი, გონჩაროვი (გ. სულაძე 73)
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვ. ღუდუშაური, კვირკველია, ვახტანგ გაგუა, რობაქიძე
დინამო: დონდტი, შაშიაშვილი (ს. გიგიაძე 60), ი. ვაშაკიძე, დიდავა, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე, გუჩუა (სიჭინავა 46), ალექსიძე, ვ. გიგიაძე (გ. შენგელია 72), ზირაქიშვილი, აშვეთია
*სათადარიგონი:* ლომაია; კობიაშვილი
გაფრთხილება: გუჩუა (45), ხოსროშვილი (76)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

### ლოკომოტივი 2:0 სამგურალი

1:0 გოგიჩაიშვილი (4), 2:0 რუსია (39)
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარამიძე (ჩაჩუა 84), კაციაშვილი (შავგულიძე 46), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, რუსია (კ. მელქაძე 67), ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ვ. გველესიანი
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ბაქრაძე
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ნებიერიძე (ჭელიძე 46), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (ფხაკაძე 46), ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, ჯავახაძე, ზ. ქუთათელაძე, კოხრეიძე (ძოძუაშვილი 46), ი. ხაჭაპურიძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ზურაბიანი
გაფრთხილება: ლ. ქობულაძე (14), ფრანგიშვილი (52)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ო. ხეცაძე (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

მცხეთა
21 აგვისტო
18 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 3:0 სიონი

1:0 ჭანკოტაძე (53), 2:0, 3:0 ქორიძე (87, 90)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ბარქაია, ჭანკოტაძე, ე. საჯაია, ხართიშვილი, კ. ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი (დ. დოლიძე 54), მაზიაშვილი (კოტორაშვილი 77), რ. გოცირიძე (ვ. გოჩაშვილი 69), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ს. თოდუა, ზ. გვაზავა
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი (მ. სამხარაძე 81), ნ. მინდიაშვილი, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, ყიფშიძე (ლ. გაგუა 66), მოსეშვილი, დათუაძე (დ. სვანიძე 64), დ. გოდერძიშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ტარუღაშვილი, მ. მინდიაშვილი, დ. ჯაფარიძე
გაფრთხილება: ყიფშიძე (59), გოცირიძე (68), სიდამონიძე (68), მინდიაშვილი (90)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. კაკულია

თბილისი
22 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 200 (ტევადობა 75 000)

### თბილისი 1:1 ბათუმი

1:0 მიქაძე (17), 1:1 მაჭუტაძე (43)
თბილისი: ბათიაშვილი, რუხაძე (ლ. ბურდული 67), ზ. ხიზანიშვილი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია, გიორგი მიქაძე, ქემოკლიძე, ვალერი გაგუა (ი. შენგელია 59), ისიანი (ლ. მელქაძე 46)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; თ. აფციაური, ებრალიძე, ნორაკიძე
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (კანტიძე 52), პაპიძე, მ. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მუჯირი, კობიძე (რომანაძე 89), გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტუღუში, აფხაზავა (გადელია 61)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; თედორაძე, მინდაძე, უჯაკვე
გაფრთხილება: ქორიძე (33), აბრამიძე (79)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

## «ბ» ზონა

ფოთი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 2:0 გორდა

1:0 ტრაპაიძე (16), 2:0 გოგოლაძე (44)
კოლხეთი: გვასალია, გოროზია (პაპავა 46), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ქუნთელია, კედელაშვილი, ტრაპაიძე, ღალანიძე, მ. მელაძე, ხუჭუა (ბულუხია 61), დ. გოგოლაძე (ბურკვაძე 81)
*სათადარიგონი:* ჩემია; ლეჟავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე
გორდა: მ. ქორიძე, მ. სახვაძე, ბერიძე, ინასარიძე, გაბელაია, თელიაშვილი, კ. ჩიგოშვილი (ჩიტაური 83), ა. ბუკია (გ. ხიზანიშვილი 46), კიტეიშვილი (ბაჩილავა 24), მიშველიძე, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ლაბაძე
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

ხობი
21 აგვისტო
18 საათი
კოლხეთი
2 000 (ტევადობა 12 000)

### ხობი 1:1 მერანი

1:0 კვეკვესკირი (16), 1:1 თოლორდავა (26)
ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ვ. ალანია (გედენიძე 41), ზურაბ აიანადი, ხურცილავა, ლ. გვაზავა, ვ. ჩიტაია, ბუკია (თორია 63), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი (დ. დანელია 63)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; გოგიტაძე ჯამბურია, ქაშიბაძე
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 73), დ. ჯიშკარიანი (ხარებავა 63), თოლორდავა, დავითაშვილი, დევიძე, როსტიაშვილი (ივანიშვილი 78)
*სათადარიგო:* კოროშინაძე
გაფრთხილება: ჯიშკარიანი (31), ჩიტაია (59), დავითაშვილი (71)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. დოლიძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ჯ. თანანაშვილი

ქუთაისი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
3 000 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 2:2 დილა

1:0 გოგიაშვილი (47), 2:0 იმედაძე (50), 2:1 თაყაძე (61), 2:2 სულთანიშვილი (80)
ტორპედო: გრ. ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი (იმედაძე 46), თურმანიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე (ამისულაშვილი 65), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვ. მაისურაძე 61), იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თავბერიძე, ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი (გ. ჩიტაია 75), შატაკიშვილი, ფეზუაშვილი (დ. მაისურაძე 66), ბ. ჩიტაია (სულთანიშვილი 62)
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, ოლგესაშვილი, არუთუნიანი
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (80), გ. ჩიტაია (86)
მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

მცხეთა
22 აგვისტო
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### თსუ 1:1 იბერია

1:0 წუწუნავა (17), 1:1 ადეიშვილი (87)
თსუ: მერლანი, ნინუა, ახალაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე (დ. ხომერიკი 27), გ. მიქაძე, თ. ბოკერია (სვანაძე 72), გ. გოცირიძე (ინწკირველი 64), ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ჯობაძე, ბ. ნოზაძე, გ. გვაზავა
იბერია: გ. დოლიძე, ბიწაძე (დარსაძე 67), გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე, ნიკოლეიშვილი, ივეჩიანი (ფილიპაშვილი 69), ზ. მეტრეველი (ადეიშვილი 82)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ქველაძე, ნ. გიორგაძე, ოდიკაძე
გაფრთხილება: კვიციანი (61), ერაძე (54), ბოკერია (67), ლურსმანაშვილი (80), დარსაძე (85)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო



REUTERS

ლივერპულელი რობი ფაულერი (მარცხნივ) და ლიდსელთა კაპიტანი ლუკას რადებე ბურთისკენ მიჰქრიან — ვინ გაიტანა გოლი „ლიდსის“ კარში?

# ჩემპიონთა ლიგისკენ?

## ინგლისი

**ლიდსი 1:2 ლივერპული**

1:0 სონგი (20ს.კ.), 1:1 კამარა (45), 1:2 რადებე (55ს.კ.)

ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიდი, რადებე, ჰარტი, ჰოპკინი (ბაკი 68), ბეტი, ბოუერი, კიუელი, ბრიჯისი (სმიტი 57), ჰაკერბი

ლივერპული: ვესტერველდი, სონგი, კარაგერი, ჰიიპია, მატეო, ტომპსონი, ჟერარდი, რედნაპი, ბერგერი, კამარა, ფაულერი

გაფრთხილება: ბოუიერი, მილსი, სონგი, კამარა

მსაჯი: ელერეი

მეხუთე ტურის გამხსნელი შეხვედრა ლიდსის „ელანდ როუდზე“ გაიმართა. „ლიდსმა“ „ლივერპულს“ უმასპინძლა და ითამაშა საზიზღრად. შეიძლება ითქვას, რომ იორკშირელებს ასე ცუდად წელიწადნახევარია არ უთამაშიათ.

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „ლივერპული“ ბრწყინავდა. ამ ლეგენდარულ გუნდს გვარიანი პრობლემები აქვს შეტევის წამოწყების საქმეში და ბედი მათი მწვრთნელის ჟერარ ულიესი, რომ ორშაბათ სალამოს თამაშის იშტაზე იყვნენ ჩეხი პატრიკ ბერგერი და ახალწვეული ტიტი კამარა. სწორედ ამ ორი მოთამაშის მეცადინეობით შეძლო „ლივერპულმა“ გოლების გატანა.

პირველი ტაიმის მიწურულს კამარამ ლიდსელთა უიღბლო კაპიტნის — ლუკას რადებეს გადმოგდებულ ბურთს ამოჰკრა ფეხი და ულამაზესად ჩაახვია ახლო ცხრიანში. მეორე ნახევარში კი, ბერგერის მოზდენილ ჩაწოდებულზე რობი ფაულერს იმავ რადებემ დაასწრო და საკუთარ კარში ჩააცურა ბურთი.

თავიდან კი „ლიდსი“ იგებდა. სტუმართა საჯარიმოში ჩაკიდებული მასპინძელ დარენ ჰაკერბისა და მასთან მოძიძგილავე ლივერპულელ რიგობერტ სონგს შორის გაიბლანდა და კარში შევარდა. ბურთი სონგის ავტოგოლლად ჩაითვალა და სწორიც იყო.

ჯამში კი 2:1 ლივერპულელთა სასარგებლოდ.

ლიდსელთა შორის კვლავ საუკეთესო იყო ლი ბოუერი, სტუმართაგან კი ნაღდად კამარა და ბერგერი სჯობნენ ყველას. სონგმაც თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა „ლივერპულის“ შემადგენლობაში.

ამჯერად, „ლიდსიცა“ და „ლივერპულიც“ ცხრილის შუაში დგანან ორ-ორი წაგებით. ულიეს გუნდს ელის საშინელი დუბლი — ზედიზედი შეხვედრები „არსენალთან“ და „მანჩესტერთან“. „ლიდსის“ მენეჯერი დევიდ ოლირი აცხადებს, რომ შარშანდელი სეზონის აღმოჩენა — ამბიციურ ყმაწვილთა „ლიდსი“ — კვლავაც გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. იგივეს ამბობს ლივერპულელთა ფრანგი მწვრთნელიც. თუმცა, ამ თამაშით...

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| მიდლსბრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ვესტ ჰემი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ლიდსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| უოტფორდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| საუთჰემპტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | 6 |
| უიმბლდონი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:9 | 5 |
| ქოვენთრი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ბრედფორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| სანდერლენდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| ნიუკასლი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 |
| დერბი ქაუნთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| შეფილდ უენსდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |

## ავსტრია

მე-9 ტური. შტურმი — ზალცბურგი 0:2; ლუსტენაუ — აუსტრია 1:0; რაპიდი — გრაცერი 2:1; ტიროლი — ბრეგენცი 4:0; რიდი — ლინცერი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 9 | 8 | 0 | 1 | 19:3 | 24 |
| რაპიდი | 9 | 7 | 1 | 1 | 14:4 | 22 |
| შტურმი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:8 | 17 |
| რიდი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:9 | 13 |
| ზალცბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:8 | 13 |
| ლუსტენაუ | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| გრაცერი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:14 | 10 |
| აუსტრია | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| ბრეგენცი | 8 | 2 | 0 | •6 | 5:19 | 6 |
| ლინცერი | 9 | 0 | 2 | 7 | 6:19 | 2 |

## ლატვია

მე-18 ტური. ვენტსპილსი — პოლიციასი 4:0, რეზეკნე — რიგა 1:3; მეტალურგსი — ვალმეირა 2:0; სკონტო — დინაბურგი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 17 | 15 | 0 | 2 | 48:9 | 45 |
| მეტალურგსი | 18 | 12 | 3 | 3 | 51:16 | 39 |
| ვენტსპილსი | 17 | 12 | 2 | 3 | 36:13 | 38 |
| დინაბურგი | 18 | 8 | 5 | 5 | 20:19 | 29 |
| ვალმეირა | 18 | 5 | 4 | 9 | 20:31 | 19 |
| რიგა | 18 | 4 | 3 | 11 | 18:33 | 15 |
| პოლიციასი | 18 | 3 | 5 | 10 | 15:47 | 14 |
| რეზეკნე | 18 | 0 | 2 | 16 | 6:46 | 2 |

# გამოძახილი

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ საშინაო მარცხი, 1:2, „არსენალისთვის“ ერთობ მწარე გახლდათ ამ მატჩთან დაკავშირებული უსიამოვნებები, როგორც ჩანს, ჯერ ამოწურული არ არის.

ლონდონელებს ორი გოლი როი კინმა გაუტანა — ერთი, შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე — და 1997 წლის დეკემბრის მერე პირველი წაგება აგემა.

„ეს მხოლოდ სიქოლოგიური დარტყმა არ გახლდათ, ეს არითმეტიკული დარტყმაც იყო“ — განაცხადა „მეთოფეთა“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და არითმეტიკულ დარტყმაში ქულების დაკარგვა იგულისხმა — „ჩვენ ძალიან გულდაწყვეტილნი გახლავართ“.

მაგრამ ვენგერი სხვა ამბავსაც გაულიზიანებია. კერძოდ იგი თვლის, რომ „იუნაიტედი“ პატრიკ ვიეირას წინააღმდეგ უხეშობისთვის სასჯელს გადაურჩა და სწორედ ამ დაუსჯელობამ გამოიწვია ერთი ხნის მერე ინციდენტი, რომელშიც „არსენალის“ ნახევარმცველი ჩათრეული აღმოჩნდა.

ინციდენტი კინსა და ვიეირას შორის, მეორე ტაიმში რომ მოხდა, ცოცხლად არსენ ვენგერის გარდა კიდევ 38 147-მა ადამიანმა იხილა და იგი ჯერ არ არის ამოწურული.

რა შეიძლება ითქვას კინის გასამართლებლად? „იუნაიტედის“ კაპიტანმა ვიეირას არც იმავე მეთოდით უპასუხა და არც აფერისტულად გაგორდა მოედანზე, მან ხელები გაშალა და მსაჯს შეკითხვა დაუსვა. სამაგიეროდ, მისი თანაგუნდელი, იაპ სტამი, რომელიც ჩვეულებრივ თავს იკავებს ხოლმე კონფლიქტური სიტუაციების დროს, გაცეცხლდა და მისი მოშორებით გასაყვანად ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი შეიქნა საჭირო. სტამი ვიეირასთან ჩხუბს ეშურებოდა.

უცნაურია, რომ ასეთ ვითარებაში შეხვედრის არბიტრმა გრემ პოლმა კონფლიქტის მონაწილეთა გაფრთხილება საჭიროდ არ მიიჩია...

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, პროცედურული წესრიგი რომ არ დარღვეულიყო, გადაწყვიტა, ოქმს დალოდებოდა და ეპიზოდის ძიება მერე გაეგრძელებინა.

ვენგერი მატჩის ვიდეოჩანაწერს რამდენჯერმე რომ ნახავს, იქნებ ვიეირას თავადაც მიუსაჯოს რამე, მაგრამ მანამდე, ცხელ გულზე, იგი ასე მსჯელობდა.

„პატრიკის წინააღმდეგ რამდენჯერმე სერიოზულად იუხეშეს, ხოლო მსაჯმა ეპიზოდებს შესაფერისი შეფასება არ მისცა. გარდა ამისა, ძალიან მეეჭვება, რომ როი კინი ასეთი წმინდა ანგელოზი იყოს“.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში კიდევ უფრო მეტი დრამა დატრიალდა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც „იუნაიტედის“ გოლკიპერმა რაიმონდ ვან დერ გაუმ მეტიუ აპსონის თავური დარტყმა აილო. მეკარე კარის ხაზს უკან დავარდა, მაგრამ ბურთი ხაზს წინ ერთი ხელით შეაჩერა. ის-ის იყო მან მეორე ხელითაც დააფიქსირა ბურთის მოპოვება, რომ სისწრაფეაკრეფილმა მარტინ კიოუნმა იგიც, ბურთიც და საკუთარი თავიც კარში შეაგდო. ამ მეცადინეობისას მან, მუხლი ვან დერ გაუს სახეში მიარტყა.

გოლი არ ჩაითვალა, ხოლო გვარიანი პაუზის შემდეგ გოლკიპერი შესაცვლელი შეიქნა.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მთავარი მეკარე მარკ ბოსნიჩი ტრავმირებული ჰყავს და იყო საშიშროება, რომ ინგლისის ჩემპიონი, საერთოდ მესამე გოლკიპერის ამარაღა დარჩებოდა, მაგრამ ექიმთა კაბინეტიდან დამაიმედებელი ხმები გამოვიდა: ვან დერ გოუ დღეს ქოვენთრიში, ხოლო პარასკევს ევროპის სუპერთასზე „ლაციოსთან“ თამაშს შეძლებს.

**მიჩ ფილიპსი, როიტერი**

## ფეხბურთის რუკასთან



**უნგრული** „ფერენცვაროშის“ მწვრთნელმა, იოჟეფ მუჩამ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, შინ ნათამაშევი 1:1-ის მერე კლუბის ხელმძღვანელებს თანამდებობიდან განთავისუფლების განცხადება აახლა. საგულისხმოა, რომ მუჩამ გუნდი ამ ზაფხულზე ჩაიბარა და მხოლოდ სამ შეხვედრაში გაუწია ხელმძღვანელობა. „თანამდებობას ვტოვებ, რადგან შექმნილი მდოგმარეობიდან გამოსავალს ვერ ვხედავ“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომლის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ „ფერენცვაროშიმ“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა მოასწრო.

**ერაყისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტის ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს ერთი ხნის შემდეგ რამდენიმე საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი გამართონ. ერაყის ოლიმპიური კომიტეტის პრესმდივანმა (კომიტეტს ქვეყნის მეთაურის, სადამ ჰუსეინის ვაჟი უდაი ხელმძღვანელობს) განაცხადა, რომ თარიღები უკვე დადგენილია, მაგრამ ისინი ფართო საზოგადოებრიობისთვის არ გაუმხელია. ერაყის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ დასძინა, რომ შემოსული თანხა გადაირიცხება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შექმნილ საგანგებო ანგარიშზე, ავადმყოფი ერაყელი ბავშვებისთვის.**

**რუმინეთის** სასამართლო — სამედიცინო ინსტიტუტმა განაცხადა, რომ ივლისში, პირველი დივიზიონის გუნდების შეხვედრის დროს, ფეხბურთელის სიკვდილი მისი ჯანმრთელობის შეუსწავლელობამ გამოიწვია. „ფეხბურთელის გარდაცვალება ძალადობის შედეგი არ იყო. მოთამაშე დიდი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ გულის უკმარისობამ შეიწირა“ — უთხრა ჟურნალისტებს ინსტიტუტის დირექტორმა ვლადიმირ ბელიშმა. გეხსომებათ, რომ საუბარია პლოეშტის „ასტრას“ მოთამაშეზე, სტეფან ვრაბიორუზე, რომელიც მოედანზე ცუდად გახდა და საავადმყოფოსკენ გზაზე გარდაიცვალა. ეს ტრაგიკული შემთხვევა ბუქარესტში, „რაპიდთან“ შეხვედრის დროს მოხდა. ბელიშმა დასძინა, რომ „რაპიდის“ კლუბმა ცუდად გამხდარ ფეხბურთელს სწორი დახმარება არ ჩაუტარა და ისიც აღნიშნა, რომ მოთამაშის კლუბს თავისი წევრების ჯანმრთელობა სათანადოდ არ ჰქონდა შესწავლილი. ინსტიტუტის დირექტორმა გამორიცხა დოპინგის ან სხვა მედიკამენტების, აგრეთვე მუცლის დაავადებისა და პროფესიული ტრავმის შესაძლო სასიკვდილო ზემოქმედება.

**ჰოლანდიის დიდმა კლუბმა, ამსტერდამის „აიაქსმა“ ექვსწლიანი კონტრაქტი დაუდო რუმინელ ჭაბუკს, კრისტიან ჩივუს. ჩივუ 18 წლისა გახლავთ. იგი კრაიოვას „უნტვერსიტატიაში“ თამაშობდა და უკვე ეროვნულ გუნდშიც იწვევენ, სადაც ბოლოს, გასულ ოთხშაბათს ითამაშა კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ. ჩივუსთვის დამახასიათებელია მარცხენა ფეხით თამაში. იგი მცველია და ბოლო ხაზზე სხვადასხვა პოზიციას უღებს ალღოს.**

**შვეიცარიაში** სპორტის არბიტრაჟმა გამოსცა განკარგულება, რომ მომავალი სეზონიდან საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ, უეფას შეჯიბრებებში ვერ ითამაშებენ. ამ საკითხზე მსჯელობა ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და საქმე სწორედ უეფას სასარგებლოდ გადაწყდა. საერთო პატრონის მყოლი კლუბების მაგალითია აეკი, „ვიჩენცა“, „სლავია“, „გლაზგო რეინჯერსი“ და „ბაზელი“. ამ ბერძნულ, იტალიურ, ჩეხურ, შოტლანდიურ და შვეიცარიულ კლუბებს ბრიტანული კომპანია ENIC-ის ფული აერთიანებთ. ბუნებრივია არბიტრაჟის გადაწყვეტილება ENIC-მა გაასაჩივრა. იგი შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში ეძებს სამართალს.

**ბელგიელმა მსაჯმა, ამანდ ანსიონმა ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრაში, „ვესტერლო“ — „გენკი“, ოთხი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევა და ხუთი პენალტი დანიშნა, რის გამოც მატჩი 6:6 დამთავრდა. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ანსიონი პირველი დივიზიონის მატჩებს ჩამოაშორეს. ბელგიური გაზეთების ცნობით, ანსიონი გასულ უქმეებზე სათასო მატჩს მოემსახურა, მაგრამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვედა დივიზიონებში მოუწევს მოღვაწეობა. ამ ხნის განმავლობაში კი, ფედერაციის სამსაჯო კომისია საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. „ეს დისკვალიფიკაცია არ არის, მე მუშაობას არ შევწყვეტ და ვიმედოვნებ, რომ შანსს არ მომისპობენ“ — განაცხადა შერისხულმა არბიტრმა, მაგრამ ძალიან განაწყენებულიც დარჩა, რადგან, მას, ხვალ, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი შეხვედრა, „ანორთოსისი“ — „ჰერტა“ უნდა განესაჯა, მაგრამ ჩამოაშორეს — „ეს კი ნამდვილი ალიყური გახლდათ. დარწმუნებული ვარ, უეფას გადაწყვეტილება პრესის უარყოფითმა დამოკიდებულებამ უკარნახა“**

**იაპონიაში,** ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე 48 ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ისინი ოვაციით შეხვდნენ 42 წლის ბრაზილიელს, რომელიც მათი ფეხბურთის გმირად იქცა. რუი რამოსი იაპონიაში 1977 წელს გადასახლდა და ქვეყნის მოქალაქეობა 1989 წელს მიიღო. რამოსი პროფესიულ სპორტს შარშან გამოეთხოვა. გასული წლის ბოლოდან მას „ვერდი კავასაკის“ ფორმა აღარ მოურგია, მაგრამ იმ დღეს, ეროვნულზე, 32-ედ და უკანასკნელად ჩაიცვა ეროვნული გუნდის მაისურა. გამოსათხოვარ შეხვედრაში ჯეი ლიგის ნაკრები და „ოლ სტარზი“ შეხვდნენ ერთმანეთს. „ოლ სტარზმა“ მოიგო 3:1, რამოსმა კი გულშემატკივარს სიტყვით მიმართა: „თქვენი მხარდაჭერის გარეშე, მე ამდენ ხანს ვერ ვითამაშებდი. 22 წლის წინ, ამ სტადიონზე ფეხი პირველად რომ შემოვდგი, ტრიბუნაზე სულ 300-400 მაყურებელი იჯდა. დღეს კი, თავად ხედავთ, მაყურებელი მრავლადაა, აი, როგორი პროგრესი განიცადა ამ ხნის განმავლობაში იაპონურმა ფეხბურთმა“.

**არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებმა სამ წელიწადში უკვე მეოთხე მწვრთნელი გაანთავისუფლა თანამდებობიდან. ამჯერად სამსახური კარლოს კიეროსმა დაკარგა. ეს პორტუგალიელი სპეციალისტი 1998 წლის დასაწყისიდან გახლდათ საქმეს შეჭიდებული, მაგრამ წარმატებებით ვერ დაიკვეხნა. მისი ბოლო შედეგი გახლდათ პან-არაბულ თამაშებზე ნაწვნევი 0:1 პალესტინასთან.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ნანდროლონი კვლავ მძვინვარებს

რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი, „ნაპოლის“ მოთამაშე იგორ შალიმოვი დოპინგზე გამოიჭირეს და იტალიური ფეხბურთიდან მოკვეთეს — ეს ცნობა იტალიის საფეხბურთო ლიგამ გაავრცელა.

აკრძალული ანაბოლური სტეროიდი, რომელიც შალიმოვის ორგანიზმში აღმოაჩინეს, ნანდროლონი გახლავთ. შალიმოვს დოპინგი 16 მაისს, „ნაპოლისა“ და „ლეჩეს“ შეხვედრის წინ მიუღია.

ლიგის განცხადებით, 30 წლის შალიმოვი, რომელსაც კარიერის განმავლობაში მოსკოვის „სპარტაკსა“ და მილანის „ინტერშიც“ უთამაშია, სამაგალითოდ დაისაჯა.

17 წლისა იყო შალიმოვი, როდესაც მოსკოვის „სპარტაკში“ მიიღეს. რუსეთის დედაქალაქის გუნდში მან 1986-1991 წლები გაატარა, შემდეგ კი იტალიაში, მაშინ სერია A-ს გუნდ „ფოჯაში“ გადავიდა.

ერთი წლის შემდეგ რუსი მილანის „ინტერმა“ შეიძინა. „სან სიროზე“ შალიმოვმა ორი სეზონი დაჰყო და აქედან ჯერ გერმანულ „დუისბურგში“, მერე კი შვეიცარიულ „ლუგანოში“ ამოჰყო თავი.

1995 წელს ფეხბურთელი იტალიაში დაბრუნდა. აქ მან „უდინეზესა“ და „ბოლონიაში“ სცადა ბედი, ბოლოს კი სერია B-ს გუნდ „ნაპოლის“ შეუერთდა.

რაც შეეხება სანაკრებო დებიუტს, იგი შალიმოვს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჰქონდა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხოლო შემდეგ მოღვაწეობა რუსეთის ეროვნულ გუნდში განაგრძო, სადაც ბოლო მატჩი შარშან ჩაატარა.



იგორ შალიმოვი

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ნანდროლონმა შალიმოვზე გაცილებით ცნობილი სპორტსმენების, სპრინტერების, ინგლისელი ლინფორდ კრისტისა და იამაიკელი მერლინ ოტის იმიჯი შეიწირა.

# გერმანია მაინც გერმანიაა

„მიდლსბროს“ ნახევარმცველი, კრისტიან ციგე ერთწლიანი განშორების შემდეგ გერმანიის ეროვნულ გუნდში დაბრუნებას ზეიმობს.

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა გამომიძახა. მე ეროვნულ გუნდში დროის სატარებლად ვერ დავბრუნდები. მე უნდა ვითამაშო, გუნდში ადგილი დავიბევო და წვლილი შევიტანო 1996 წელს მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაში“ — განაცხადა ციგემ.

რიბეკმა ციგეს „მიდლსბროში“ ჩინებულად ჩატარებული ოთხი მატჩის გამო მიაქცია ყურადღება, გერმანელმა მოთამაშემ ახალ გუნდში უკვე ორი გოლი გაიტანა და ახლა იმავეს შეეცდება ეროვნულ ნაკრებში, რომელსაც ევრო 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში 4 სექტემბერს ფინეთში და მერე შინ, ჩრდილო ირლანდიასთან უწევს თამაში.

„მილანიდან“ „მიდლსბროში“ გადასული ციგე ნაკრებში „ფიორენტინას“ იორგ ჰაინრიხს შეცვლის, ვინაიდან იტალიის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, რიბეკი ეჭვობს, რომ ჰაინრიხი, შესაძლოა, სრულყოფილად არ იყოს მომზადებული საერთაშორისო დონეზე სათამაშოდ.

პირველად მიიწვიეს ეროვნულ გუნდში ბერლინის „ჰერტას“ 19 წლის ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი. ეს ყმაწვილი ბერლინელებმა მონხენგლადბახის „ბორუსიასგან“ იყიდეს და მანაც ახალ გუნდს საუცხოოდ აუღო ალღო.

იყო ლაპარაკი, რომ ნაკრებში დორტმუნდის „ბორუსიას“ ცნობილ ნახევარმცველ ანდრეას მიოლერს დააბრუნებდნენ, მაგრამ რიბეკმა თქვა, რომ ამაზე ჯერ კიდევ ფიქრობს.

„ბევრი მითქმა-მოთქმა იყო თომას ჰესლერის გამოც (მიუნხენ 1860), მაგრამ, ვგონებ, ამაზე კონკრეტული საუბარი ჯერ ადრეა. მან ჯერ ბუნდესლიგის წამყვან მოთამაშეთა კატეგორიაში უნდა დააბრუნოს საკუთარი თავი“ — განაცხადა რიბეკმა.

მოგეხსენებათ, კონფედერაციათა თასზე ნაჩვენები ცუდი შედეგის გამო, გერმანიის ნაკრებს წარმატებათა ციკლი სჭირდება, მაგრამ ეს შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს იოლი საქმე. ვინაიდან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, ოლივერ კანი, მიხაელ პრეეცი და დიტმარ ჰამანი, დაშავებულია.

*მეკარეები: იენს ლემანი (დორტმუნდი), ჰანს-იორგ ბუტი (ჰამბურგი); მცველები: მარკუს ბაბელი (ბაიერნი), თომას ლინკე (ბაიერნი), ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი); ნახევარმცველები: სებასტიან დაისლერი (ჰერტა), კრისტიან ნერლინგერი (დორტმუნდი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იენს იერემისი (ბაიერნი), მეჰმეთ შოლი (ბაიერნი), თომას შტრუნცი (ბაიერნი), კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი); თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი)*

# ცხელი ფეხბურთი ცხელ ზაფხულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის დარად, აფრიკის ჩემპიონთა ლიგაც დაიწყო. ოღონდ, ბევრ კონტინენტისგან განსხვავებით, აქ უკვე ქვეჯგუფის მატჩები ჩატარდა. ამ უქმეებზე, აფრიკაში იქაურ უძლიერეს კლუბთა ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაიმართა.

ფავორიტებად, აქედანვე, ეგვიპტისა და ტუნისის ჩემპიონები, შესაბამისად, „ალ ალი“ და „ესპერანსი“ ითვლებიან.

„ალ ალი“ პირველ ტურში ნიგერიულ „შუტინგ სტარზს“ ესტუმრა. გუნდს ტრავმის გამო უძლიერესი თავდამსხმელი ჰოსამ ჰასანი აკლდა, ამიტომაც სპეციალისტებს მისი გამარჯვებისა ეეჭვებოდათ. მიუხედავად ამისა, „ალ ალიმ“ დაძაბულ ორთაბრძოლაში მაინც მოახერხა 3 ქულის მოპოვება — ეგვიპტელებმა 3:2 დაამარცხეს ნიგერიის ჩემპიონები.

„ალ ალის“ მსგავსად, „ესპერანსმაც“ მოიგო თავისი პირველი მატჩი. ოღონდ, უფრო დამაჯერებელი ანგარიშით 3:0.

ტუნისელებმა კოტ დივუარის ჩემპიონ ASEC-ს უმასპინძლეს. აღსანიშნავია, რომ ASEC მეტად ახალგაზრდული გუნდია (იქ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 19 წელია) და მას სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, ამჯერად, გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

მაჰერ კანზარის, ედიტ აგოიესა და ვალიდ აზაიეზის გოლების წყალობით „ესპერანსმა“ იმარჯვა.

— მიუხედავად განცდილი მარცხისა, კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით. მჯერა, მომავალში დიდ წარმატებებს მივაღწევთ, რის საფუძველსაც ეს პატარა ბიჭები მაძლევენ — თქვა წარსულში საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრმა, ამჟამად კი ASEC-ის მთავარმა მწვრთნელმა ჟან-მარკ გალუმ.

უნდა ითქვას, რომ აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში პირველად მონაწილეობს მაროკოს წარმომადგენელი. ამ ქვეყნის უძლიერესმა კლუბმა, „რაჯამ“ თავისი დებიუტი მე-3 წუთზე გატანილი გოლით აღნიშნა და მთლიანად მატჩიც მოიგო.

გათამაშების მორიგი ეტაპი სექტემბრის პირველ კვირას გაიმართება.



ესპერანსი — ASEC 3:0. მასპინძელი მურად მარჯი კოდ დივუარელ კუასი აბიბს გაურბის

**I ჯგუფი**

შუტინგ სტარზი (ნიგერია) 2:3 ალ ალი (ეგვიპტე)

რაჯა (მაროკო) 1:0 ჰართსი (განა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალ ალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| რაჯა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შუტინგ სტარზი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ჰართსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**II ჯგუფი**

ესპერანსი (ტუნისი) 3:0 ASEC (კოტ დივუარი)

სენტ ლუზიენი (რეუნიონი) 1:0 დინამოსი (ზიმბაბვე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპერანსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სენტ-ლუიზიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დინამოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ASEC | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## სლოვენია

მე-4 ტური მარიბორი — რუსე 5:0, სელიე — ნოვა გორიცა 3:3, მურსკა სობოტა — ოლიმპია 3:0, დრავოგრადი — ბელტინჩი 2:0, აიდოვშინა — პრევალიე 2:2, დომჟალე — ველენიე 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:4 | 12 |
| ველენიე | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| დრავოგრადი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| აიდოვშინა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ოლიმპია | 4 | 0 | 2 | 0 | 9:5 | 6 |
| მურსკა სობოტა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 |
| ნოვა გორიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| სელიე | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| დომჟალე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| პრევალიე | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| ბელტინიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |
| რუსე | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

## ისრაელი

მე-2 ტური. ბნეი იეჰუდა ჰ. თელ ავივი 2:1, მ. თელ ავივი — მ. ნეთანია 0:0, ჰ. ჰაიფა — მ. ფეითახ თიქვა 1:0, ბეითარი — მ. ჰერცლია 1:1, ღირონი — ჰ. იერუსალიმი 2:2, ჰ. ფეთახ თიქვა — მ. ჰაიფა 2:5, ჰ. კფარ სავა — აშდოდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 |
| აშდოდი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| ბეითარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბნეი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჰ. ჰაიფა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰ. თელ ავივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მ. ფეითახ თიქვა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰ. კფარ სავა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| მ. ჰერცლია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰ. იერუსალიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ირონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |
| მ. ნეთანია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |
| ჰ. ფეითახ თიქვა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| მ. თელ ავივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -3 |

*მ. თელ ავივს დაკლებული აქვს 4 ქულა*

## დანია

მე-5 ტური. სილკებორგი — ესბიერგი 4:0; ვიბორგი — ლიუნგბიუ 2:0; ჰერფიოლგე — ვაილე 1:1; ოლბორგი — ორჰუსი 1:0; აკადემისკი — ბრონდბიუ 2:0; კოპენჰაგენი — ოდენსე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:0 | 13 |
| ბრონდბიუ | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| ოლბორგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| ჰერფიოლგე | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| ვიბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| სილკებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:3 | 7 |
| ორჰუსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| კოპენჰაგენი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 |
| ესბიერგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:13 | 4 |
| ლიუნგბიუ | 5 | 1 | 0 | 4 | 6:9 | 3 |
| ვაილე | 5 | 0 | 3 | 2 | 2:10 | 3 |
| ოდენსე | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | 1 |

## უკრაინა

მე-8 ტური. დინამო — მეტალურგი 1:0; ზირკა — ჩორნომორეცი 0:0; შახტარი — პრიკარპატია 1:0; ზაპოროჟიე — მარიუპოლი 2:1; ვორსკლა — ნივა 4:2; ტავრია — კარპატი 4:1; კრივბასი — ცსკა 2:1; დნიპრო — მეტალისტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:5 | 19 |
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 16 |
| მეტალისტი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| ვორსკლა | 8 | 4 | 1 | 3 | 15:10 | 13 |
| შახტარი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:2 | 13 |
| ზაპოროჟიე | 7 | 4 | 1 | 2 | 9:8 | 13 |
| მარიუპოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:10 | 12 |
| კარპატი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:11 | 12 |
| მეტალურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:9 | 11 |
| ცსკა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:5 | 10 |
| ტავრია | 8 | 3 | 1 | 4 | 12:12 | 10 |
| ნივა | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| დნიპრო | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| პრიკარპატია | 8 | 0 | 4 | 4 | 4:11 | 4 |
| ზირკა | 8 | 0 | 4 | 4 | 4:14 | 4 |
| ჩორნომორეცი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:19 | 4 |

## ნორვეგია

მე-20 ტური. ბოდიო გლიმტი — სტაბეკი 4:0; კონგსვინგერი — ოდ გრენლანდი 1:0; ლილესტრიომი — სკეიდი 2:1; მოლდე — ბრანი 1:3; სტრიომსგოდსეტი — რუსენბორგი 1:3; ტრომსიო — მოსი 1:1; ვოლერენგა — ვიკინგი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 20 | 15 | 2 | 3 | 59:20 | 47 |
| ლილესტრიომი | 20 | 13 | 2 | 5 | 50:31 | 41 |
| მოლდე | 20 | 13 | 2 | 5 | 39:27 | 41 |
| ბრანი | 19 | 12 | 1 | 6 | 34:29 | 37 |
| სტაბეკი | 20 | 9 | 4 | 7 | 40:39 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 9 | 2 | 9 | 27:37 | 29 |
| ტრომსიო | 19 | 8 | 4 | 7 | 44:33 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 8 | 4 | 8 | 40:40 | 28 |
| ვიკინგი | 20 | 8 | 3 | 9 | 36:34 | 27 |
| მოსი | 20 | 6 | 2 | 12 | 30:38 | 20 |
| სტრიომსგოდ. | 20 | 6 | 2 | 12 | 31:45 | 20 |
| ვოლერენგა | 20 | 5 | 3 | 12 | 31:44 | 18 |
| სკეიდი | 20 | 5 | 2 | 13 | 25:51 | 17 |
| კონგსვინგერი | 20 | 5 | 1 | 14 | 28:46 | 16 |

## შვედეთი

მე-18 ტური. ელფსბორგი — იორგრიტე 1:2; გიოტებორგი — კალმარი 2:0; აიკ — ფრიოლუნდა 1:0; ჰელსინგბორგი — მალმიო 1:0; ჰალმსტადი — ტრელებორგი 2:2; ნორჩიოპინგი — ჰამარბი 3:2; იორებრო — იურგარდენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 18 | 12 | 3 | 3 | 31:10 | 39 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 11 | 2 | 5 | 27:17 | 35 |
| იორგრიტე | 18 | 9 | 5 | 4 | 30:14 | 32 |
| ჰალმსტადი | 18 | 9 | 4 | 5 | 34:16 | 31 |
| იორებრო | 18 | 8 | 2 | 8 | 19:21 | 26 |
| კალმარი | 18 | 8 | 2 | 8 | 24:28 | 26 |
| გიოტებორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 18:23 | 26 |
| ტრელებორგი | 18 | 6 | 5 | 7 | 28:28 | 23 |
| ფრიოლუნდა | 18 | 5 | 6 | 7 | 20:25 | 21 |
| ნორჩიოპინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:28 | 20 |
| ელფსბორგი | 18 | 5 | 4 | 9 | 28:37 | 19 |
| მალმიო | 18 | 5 | 3 | 10 | 19:28 | 18 |
| ჰამარბი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:31 | 17 |
| იურგარდენი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:30 | 17 |

# მკვლელები თუ...

ვექილებმა თავიანთ კლიენტს თავდები ვერ მოუხერხეს — საუბარია იმ გერმანელი ხულიგნების საქმეზე, რომელთაც 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, საფრანგეთის ქალაქ ლანსის სტადიონის ახლოს სასიკვდილოდ გაიმეტეს ჟანდარმი დანიელ ნიველი. ხულიგნების ნაცემი 44 წლის ნიველი, ორი შვილის მამა, ექვსი კვირის განმავლობაში კომაში იყო, ხოლო გონს მოსულს ტვინის დაზიანება დაუდგინდა და სამარადჟამოდ დაინვალიდდა.

ხულიგნების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში ჟღერს ფრაზა, რომელიც საგანგებო მსჯელობის საგნადაა ქცეული. ვექილები სწორედ ამ ფრაზის უარყოფას ცდილობენ, ხოლო ბრალმდებლებს იგი კოზირად აქვთ ქცეული. მხედველობაში გვაქვს „სასიკვდილოდ გამეტება“ ანუ ფაქტობრივად, მკვლელობა. ნიველის გადარჩენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავდამსხმელებმა მკვლელობა არ ჩაიდინეს. გადარჩენა განგებისა და ექიმების კეთილშობილური აქცია გახლდათ.

ტაბიას არნო რაიფშლაეგერი 24 წლისაა. მან უკვე დანარცხებულ ჟანდარმს ურტყა გამეტებით, მაგრამ ამ დადგენილი ფაქტის მიუხედავად მისმა ვექილებმა თავდები ითხოვეს. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მკვლელობის ცდა გადამეტებული შეფასებაა იმისა, რაც მათმა კლიენტმა ჩაიდინა, მაგრამ უარი მიიღეს. მოსამართლეებმა იმსჯელეს და დაადგინეს, რომ რაიფშლაეგერი გონდაკარგული ჟანდარმის ცემის დროს სულაც არ ფიქრობდა შესაძლო შედეგზე, მისთვის ნიველის სიკვდილ-სიცოცხლე სულერთი იყო.

სასამართლოს წინაშე პასუხს აგებს აგრეთვე 23 წლის კრისტოფერ რაუხი, რომელმაც ჟანდარმს თავში ხის საგანი ჩაარტყა, ხოლო 28 წლის ანდრე ცავაცკის იარაღად, ცრემლმდენი გაზის ბალონი გამოუყენებია. ნიველზე თავდასხმაში ბრალი ედება 31 წლის რალფ რენგერსაც.

თუ სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ ოთხეულმა ფაქტობრივად, მკვლელობა ჩაიდინა, ხულიგნებს 15 წლიანი პატიმრობა ელით.





# ბრაზიანი კაცის დაბრუნება

*ორი... უკაცრავად, თორმეტი წლის წინ ჯანლუკა პალიუკა უკვე საუკეთესო იყო — სულ მცირე თამაშში ერთხელ საოცრად გადაარჩენდა ხოლმე გუნდს. იქნებ ის მართლაც სერია A-ს უძლიერესი მეკარე იყოს, მაგრამ „სკუადრა აძურას" ახლანდელი მწვრთნელი დინო ძოფი ისე იქცევა, თითქოს პალიუკა საერთოდ არ არსებობდეს. ნუთუ „ინტერის" ყოფილი, აწ უკვე „ბოლონიას" გოლკიპერი ზედმეტად ემოციურია და ერთგულების უნარიც არ აქვს? ალბათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ძოფის საქციელი საუკუნის უდიდეს საიდუმლოს ტოლფასი იქნებოდა. პალიუკა ხომ იტალიის სამ უდიდეს სპორტულ გაზეთში მუდმივად უფრო მაღალ შეფასებას იღებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა მეკარე.*

*დღეს, იტალიის მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ეროვნული გუნდის ყოფილი გოლკიპერის შეხედულებები გარდა იმისა, რომ საინტერესო უნდა იყოს, ერთგვარ პრელუდიადაც შეიძლება ჩაითვალოს.*

**— ჯანლუკა, როგორ თვლით, რა უნდა გააკეთოთ საიმისოდ, რომ ძოფმა ყურადღება მოგაქციოთ?**

— ამაზე ლაპარაკი არ მსურს.

**— ეგ უფრო საკვირველია, რომ ამაზე არ გსურთ ლაპარაკი.**

— ზიზღის გრძნობა მეუფლება, რატომ არ გესმით. ნაკრებზე რომ ვლაპარაკობ, ვბრაზდები. რისი თქმაც შეიძლებოდა, ყველაფერი ნათქვამი მაქვს, მაგრამ არაფერი გამოცვლილა. რა, გამოიცვალა რამე?

**— თქვენ მესამე მეკარედაც კი არ გიწვევენ...**

— ძოფი ასაკის მიხედვით სჯის.

**— შეუძლებელია. ძოფი ის კაცია, 40 წლისამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვა.**

— მაშინ არ ვიცი. იქნებ თქვენ მითხრათ, რატომ არ მიწვევს ნაკრებში.

**— და რომ მიგიწვიოთ, რას ეტყვით?**

— ერთხელ არ დაურეკავს ჩემთვის. შეგიძლიათ მეკამათოთ, მაგრამ იტალიის საუკეთესო მეკარე სწორედ მე გახლავართ. დახედეთ ჩემს ნიშნებსა და შეფასებებს და მიხვდებით.

**— არადა დადიოდა ხმები, რომ „ინტერში" თქვენს ადგილს ბუფონი დაიკავებდა.**

— რა სისულელეა. ვილაცამ ისიც კი დაწერა, თითქოს მე მეთქვას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" მივდიოდი. ასეთი ჭორების მერე იწყება გაუგებრობები და ბოლოს წუხდები კაცი.

**— „მანჩესტერ იუნაიტედს" იუარებდით?**

— არც მიფიქრია უცხოეთში წასვლაზე. მინდა იტალიაში ნომერ პირველ მეკარედ დავრჩე.

**— ბუფონმა თქვა, რომ „ინტერის" და „პარმას" შეხვედრას „მანჩესტერ იუნაიტედის" მეთვალყურე ესწრებოდა...**

— რა გინდათ, სხვებზე გელაპარაკოთ?

**— როგორც ჩანს, ბუფონზე ლაპარაკს არ აპირებთ.**

— ის არ მაინტერესებს. საერთოდ, ერთი რამ მინდა გითხრათ...

**— რა?**

— რა და წარსული დამსახურება უმნიშვნელოა. მთავარია დღევანდელი შედეგი. თუ ვინმე ზედიზედ ორ შეხვედრაში დაუშვებს შეცდომას, მესამეში ველარ ითამაშებს. გახსოვთ კიმენტი? ის ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ „კალიარისთან" შეცდომა დაუშვა და შემდეგ ტურში „რომას" კარს უკვე კონსელი იცავდა.

**— ჯანლუკა, მოედანზე ნიადაგ ბრაზიანი ხართ. რატომ?**

— გაბრაზებით მაშინ ვბრაზდები, როცა გუნდი ორ გოლს უშვებს. „ვიჩენცასთან" (გასულ სეზონში, 10 იანვარს, „ინტერმა" 6:2 მოიგო) დაცვისა და შეტევის ბალანსი მოიშალა. ყველა მოთამაშე მეექვსე გოლის გასატანად გაიქცა და მესამე არ გაგვივიდესო, კაციშვილს არ უფიქრია.

**— არა, თქვენ სხვა თამაშებშიც ბრაზდებით.**

— ასეთი ვარ. არ შემიძლია გოლის გაშვების შემდეგ მშვიდი დავრჩე. ზოგი მეკარე არ ღელავს, ზოგი სუსტია, მაგრამ, გეკითხებით, ვის აქვს გაბრაზების უფლება თუ არა მეკარეს? მე ვბრაზდები და ხალხს ვუყვირი. თან ვიცი, რომ ის, ვისაც ვუყვირე, ცუდ ხასიათზე დადგება. მეც არ მიყვარს, როცა ვინმე მაგინებს, მაგრამ რა ვქნა, სიბრაზე რომ დავმალო, ფეხბურთს ველარ ვითამაშებ.

**— სებასტიანო როსის გესმით?**

— რალაც დონემდე, მაგრამ მას მეტისმეტი მოუვიდა, როდესაც მოთამაშეს კისერში წვდა. საბრძოლო სულისკვეთებას თავისი ზღვარი უნდა ჰქონდეს.

**— როგორ გგონიათ, გასულ სეზონში „ინტერს" საკუთარი თავის რწმენა აკლდა?**

— თავიდანვე ჩავფლავდით, რადგან წინა სეზონში მეორეზე ვიყავით და თავს მოდუნების ნება მივეცით.

**— თან პროვინციული კლუბებიც ერთიორად გაძლიერდნენ, არა?**

— ყველა, ვინც მათთან თამაშის დროს თავს მოდუნების ნებას მისცემს, სერიოზულ შეცდომას დაუშვებს. ბოლო დროს პროვინციული კლუბები ძალიან სოლიდურნი გახდნენ.

**— გთხოვთ, „ინტერის" ყოფილ მწვრთნელზე, ჯიჯი სიმონიზე გვესაუბროთ.**

— როცა მოხსნეს, ძალიან დამწყდა გული. მინდოდა დარჩენილიყო. ერთადერთი, რაც არ მომეწონა, მისი ერთერთი ინტერვიუს ფრაზა გახლდათ. მან თქვა, „ინტერიდან" ზოგმა ფეხბურთელმა გამომაგდოო.

**— ხომ არ იცით, რას გულისხმობდა?**

— არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ მას უკლებლივ ყველა მოთამაშე მხარს უჭერდა. ყველას გვინდოდა, რომ დარჩენილიყო.

**— „ინტერის" გასახდელში რა ხდებოდა?**

— გასახდელი გასახდელია. 12 წლის განმავლობაში ბევრ გასახდელში ვყოფილვარ. იქ ჩხუბი ჩვეულებრივი ამბავია. „სამპდორიაში" რომ ვთამაშობდი, მანჩინისთან და ვერხოვოდთან სულ ჩხუბები მქონდა, მაგრამ მაინც ჩემპიონები გავხდით.

**— ჩემს კითხვას არ უპასუხეთ. მე „ინტერის" გასახდელზე საუბარი გთხოვეთ.**

— ყველგან, ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა. სამხრეთ ამერიკელ ფეხბურთელებს, ცალკე, თავიანთი წრე ჰქონდათ, ერთად სადილობდნენ, ცოლიანები მეუღლეებთან და ბავშვებთან გარბოდნენ, უცოლოები ერთმანეთში ძმაკაცობდნენ.

**— სამი თავდამსხმელით თამაშზე რას იტყვით?**

— თუ გინდათ ოთხით გამოვიდნენ, ჩემთვის სულერთია. თუ დაცვა მჭიდროდ ეთამაშება, ყველაფერი რიგზეა.

**— იცით, ერთ კითხვაზე ძალიან მინდა გულწრფელად მოპასუხოთ.**

— თუ პასუხი ვიცი...

**— ბურთის მოგერიების თქვენეულ სტილზე გელაპარაკებით. როგორ იგერიებთ ისეთ ბურთებს, თითქოს, უეჭველად, კარში რომ შედის?**

— პერუცი და ბუფონი ბურთისკენ გამოდიან და ამას ძალიან კარგად აკეთებენ, ჩემი კოზირი კი რეფლექსი და სისწრაფეა.

**— ჯანლუკა, თქვენს შემკვიდრედ ვის თვლით?**

— ალბათ, სერნის. ის იმ ტიპის მეკარეა, მე რომ ვარ, ანუ ისეთი, ძოფს რომ არ უყვარს.

**— ახლა კი თქვენს ახალ კლუბზე, ანუ მშობლიურ ქალაქზე — ბოლონიაზე ვთქვათ. მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული ამხანაგური თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ბრძანდებით.**

— და იმედი მაქვს, რომ შემოდგომაზე, ზამთარსა და გაზაფხულზეც ასე იქნება. ძალიან ბევრს ვმუშაობ და კარგ ფორმაშიც გახლავართ. მოკლედ, თავს ბედნიერად ვგრძნობ.

**— არადა — ისევ „ინტერს" დავუბრუნდები — თქვენ მილანში, თითქოს, 2002 წლამდე აგრძელებდით კონტრაქტს.**

— არ ველოდი „ინტერიდან" თუ წავიდოდი. გასულ სეზონში, პირველ წრეში, დიდებულად ვითამაშე, ხოლო მეორეში გუნდს დაუსრულებელმა ცვლილებებმა გაუფუჭა საქმე. არა, მაინც მჯეროდა, რომ ვერ შემელეოდნენ და მაისში რომ მითხრეს, გყიდითო, ცუდად გავხდი. რატომ არ ვუნდოდით, ამაზე ჯერ ერთი, ლაპარაკი არ მინდა და მეორეც, არც კი ვიცი წესიერად. მგონი, ახალ მწვრთნელს სხვა იდეები ჰქონდა. რაც არის, არის. „ბოლონიაში" დიდი ენთუზიაზმით მივედი. ესპანეთშიც მეპატიჟებოდნენ, ინგლისშიც, მაგრამ აკი ვთქვი, რომ უცხოეთში გადაბარგებას ჯერ არ ვაპირებ. ყოველთვის ვქომაგობდი „ბოლონიას" და ვამაყობ, აქ რომ ვარ. მოკლედ, მადლობა ქალაქ ბოლონიას და „ბოლონიას" კლუბს. წლების განმავლობაში აქ მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვდიოდი ხოლმე, ახლა კი სხვაა. ძალიან ბევრი რამ შეცვლილა, თუმცა სტუმართმასპინძლობა, სიცოცხლის სიყვარული და კეთილგანწყობა ძველებურია. აქ ყველა ქუჩა ვიცი. მილანში შარშანაც კი ვიკარგებოდი. ახლა გუნდი: ძალიან მომწონს აქაურობა, ჩვენ ჩინებული სეზონის ჩატარება შეგვიძლია.

**— „ინტერში" კი თქვენი ადგილი ანჯელო პერუციმ დაიკავა და ჯერჯერობით, მაინც და მაინც, არ ბრწყინავს.**

— „ინტერი" ხომ ძალიან შეიცვალა, მაგრამ შიგადაშიგ გადასხვაფერება ყველას და ყველაფერს სჭირდება.

თარგმნა
ბაკუნა ძიდიამ

# მოვარჯიშე



რობერტ იარნი

მადრიდის „რეალის" მივინყებულმა ფეხბურთელმა, რობერტ იარნიმ განაცხადა, რომ დეკემბრამდე კლუბში ვარჯიშს განაგრძობს, მერე კი მოედანზე დაბრუნებას იმედოვნებს.

ხორვატიის ნაკრების მოთამაშე, რომელიც ესპანეთის „სამეფო გუნდში" 1998-99 წლების სეზონის წინ გადავიდა, ანუ განაცხადშიც კი არ შეიყვანეს, ხოლო თამაშს, სულ მცირე ახალ წლამდე ვერ შეძლებს.

ასეთი მდგომარეობა იარნის ეროვნულ გუნდში ადგილის დაკარგვას უქადის, მარამ მოთამაშე ფიქრობს, რომ რამდენიმე თვეში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

„არა უშავს" — უთხრა იარნიმ ჟურნალისტებს — დეკემბრამდე „რეალში" დავრჩები, მერე კი ვნახავ რა მოხდება. მადრიდში ვარჯიშით, და ნაკრებში თამაშით ვგონებ ფორმას გავიუმჯობესებ.

მართალია სიტუაცია ერთობ უცნაურია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ თავს მოტყუებულად ვგრძნობ. ამჯერად ჩემი მიზანი ახალი წლისთვის „რეალის" განაცხადში დაბრუნება გახლავთ. მწვრთნელმა სამი კვირის წინ მითხრა, რომ ასე გარიყული, ჩემპიონატის პირველ ნახევარში ვიქნები".

მადრიდელთა გუნდში არის კიდევ ერთი „განვლილი" მოთამაშე, კლარენს ზეედორფი, რომლის სტილიც „რეალის" დღევანდელ მწვრთნელს ჯონ ტოშაკს არ მოსწონს და ახალდაწყებული ჩემპიონატის პირველივე ტურის შეხვედრაში, „მალიორკასთან" („რეალმა" 2:1 მოიგო), ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დასვა.

„მალიორკასთან" შეხვედრის შემდეგ კლარენს ზეედორფს რეპორტიორთათვის უთქვამს, რომ იგი ნამდვილად დატოვებს კლუბს და სავარაუდოდ იტალიაში გადავა.

ესპანური ტელევიზიის ბოლო ცნობით, ჰოლანდიელ ნახევარმცველში მილანის „ინტერი" 3 000 მილიონ პესეტას იხდის, თუმც „რეალს" განცხადებული ჰქონდა, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ ზეედორფს 4 000 მილიონ პესეტაზე ნაკლებად არ გაყიდის.

# რა კაცია გომესი?

**მარიო** გომესი შეიძლება „მალიორკას" მწვრთნელის თანამდებობას დაემშვიდობოს. ყოველ შემთხვევაში, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან მას ასეთი საფრთხე ემუქრება.

საქმე ბიუროკრატიულ ხლართებთან გვაქვს. კერძოდ, ესპანეთის საფეხბურთო წეს-კანონთა თანახმად, ნებისმიერი მწვრთნელი, რომელიც ევროკავშირის გარეშე ქვეყნიდან არის და პრიმერა დივიზიონში აპირებს მუშაობას, ვალდებულია წარადგინოს საბუთი, რომლის თანახმადაც მას უმაღლესი რანგის კლუბებში სულ მცირე სამი სეზონი აქვს ნამუშევარი.

არგენტინელი გომესი, რომელმაც „მალიორკას" გაძღოლა ამ ზაფხულზე ითავა და თანამდებობაზე ცნობილი თანამემამულე სპეციალისტი ექტორ კუპერი შეცვალა, ადრე, სამშობლოში, „ფერო კარილსა" და „ატლეტიკო ლანუსს" წვრთნიდა. პრობლემა კი ის გახლავთ, რომ დაუდგენელია 1994 წლიდან მოყოლებული, რამდენი ხანი მუშაობდა იგი ხსენებულ კლუბებში, ანუ სრული სამი წელიწადი ისაქმიანა თუ მალევე დაეთხოვა როგორც ერთს, ისევე მეორეს.

სწორედ ამ ინფორმაციას ელის ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია, ცალკე „მალიორკასგან" და ცალკე არგენტინელი მწვრთნელისგან.

„მდგომარეობა ჯერ კიდევ ბუნდოვანია" — განაცხადა ფედერაციის პრეს მდივანმა —„ესპანეთის მწვრთნელთა კომიტეტიდან მიღებულ განცხადებაში გამოთქმულია ეჭვი, რომ მარიო გომესს ჩვენს ქვეყანაში მუშაობისთვის აუცილებელი გამოცდილება არ აქვს. ახლა ჩვენ „მალიორკასგან" პასუხს ველით".

„მალიორკას" მეპატრონე ანტონიო ასენსიო კი გომესს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და ამბობს, რომ პრობლემა ორიოდ დღეში გადაწყდება.

„დარწმუნებული გახლავართ, რომ ესპანეთში სამუშაოდ გომესს სრულიად საკმარისი გამოცდილება აქვს" — ბრძანა მეპატრონემ — „მას ამის დემონსტრირების სრული საშუალება მიეცემა და ისიც არ მეეჭვება, რომ მისი კონტრაქტი აბსოლუტურად ლეგალური და იურიდიულად გამართული გახლავთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიგის მატჩი შავი სამკლაურებით

თურქული „გალათასარაი“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას, ვენის „რაპიდთან“, ჩაატარებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში მომხდარმა მიწისძვრამ 12 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩი 10 სექტემბრამდე გადასდო, მაგრამ ევროპული კალენდრით გათვალისწინებული მატჩები მაინც ჩატარდება. „ჩვენ გლოვის ნიშნად შავი სამკლაურებით ვითამაშებთ“ — განაცხადა „გალათასარაის“ პრეს-ატაშემ თუგაი ვარდარმა. აღსანიშნავია, რომ კლუბმა მიატოვა ჩრდილოდასავლეთ სანაპიროზე მდებარე საწვრთნელი ბაზა, სადაც „რაპიდთან“ შეხვედრისთვის ემზადებოდა. მიზეზი: ბაზა ხიფათის ზონაში იმყოფება. „ასეთი ტრაგედიის შემდეგ ჩემი ფეხბურთელები თამაშზე კონცენტრაციას ვერ შეძლებენ“ — განაცხადა „გალათასარაის“ მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა, მაგრამ სტამბოლში მატჩის გამართვას მხარი დაუჭირა. „გალათასარაისა“ და „რაპიდის“ პირველი მატჩი თურქთა გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

# პარტიზანი — სპარტაკის თამაშს ესპანელი ნიეტო იმსაჯებს

უეფამ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებითი მატჩის, იუგოსლავიურ „პარტიზანისა“ და რუსულ „სპარტაკს“ შორის, მთავარ მსაჯად ესპანელი ანტონიო ლოპეს ნიეტო დანიშნა. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის ნიეტოა, რომელმაც თავის დროზე კიევის „დინამო“ამავე ტურნირში შეიწირა.

უეფას თასის მატჩს, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივსა“ და ბელარუსულ ბატეს შორის უნგრელი შანდორ პული წარუძღვება. პული, რომელმაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი იმსაჯა, ხოლო წლევანდელი აპრილის ბოლოს თბილისშიც ბრძანდებოდა და საქართველო—ნორვეგიის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშს წარუძღვა.

„სახელოვანმა“და ამბიციურმა ქართველებმა ის შეხვედრა 1:4 წააგეს. მოსკოვური მატჩი, თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.



ალექსანდრ შირკომ „პარტიზანთან“ გოლის გატანით დიდად გაიხარა, რა იქნება დღეს?..



# საუკეთესო 14 + ზეპ ბლატერი

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და ევროპის 14 წამყვანი საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლები შვეიცარიის ქალაქ ციურიხში შეხვდა ერთმანეთს.

შეხვედრის ძირითადი მიზანი კლუბების გადატვირთული კალენდრები და ლეგიონერთა პრობლემები იყო.

იტალიის ჩემპიონ „მილანის“ წარმომადგენელ ადრიანო გალიანის განცხადებით, ის მიესალმება ბლატერის სწრაფვას, მსოფლიო ფეხბურთში რადიკალური გარდაქმნები განხორციელდეს, მაგრამ ფიქრობს, რომ გუნდებს კალენდარი უნდა შეუმსუბუქდეს და მსოფლიოს ჩემპიონატიც კვლავინდებურად ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს.

— ვგონებ, სათამაშო კალენდარი მეტისმეტად გადატვირთული გვაქვს. ეს არა მარტო ჩვენ გვეხება, არამედ მსოფლიოს მრავალ წამყვან კლუბსაც. წარმოიდგინეთ, რა დღეშია ის ფეხბურთელი, რომელსაც დროის სულ მოკლე მონაკვეთში ქვეყნის ჩემპიონატის, თასის და აგრეთვე ჩემპიონთა ლიგის მატჩებში უწევს მონაწილეობა. ამას დავუმატოთ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატიც და თავად მიხვდებით, რისი გადატანა უწევთ მოთამაშეებს. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, ჩემი აზრით, იქ პატარა ნიუანსების გარდა არაფერია შესაცვლელი — თქვა გალიანიმ.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსს კი თურმე არ მოსწონს, რომ ლეგიონერებს თავ-თავიანთ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებში ხშირად იძახებენ.

— კი ბატონო, ითამაშონ ეროვნულ გუნდებში, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რა საჭიროა, როცა მაგალითად, ელვირ ბალიჩს იძახებენ ბოსნიის ნაკრებში ფარერის კუნძულებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ — განაცხადა მან.

ციურიხულ შეკრებას მადრიდის „რეალისა“ და „მილანის“ გარდა, „ბაიერნის“ „იუვენტუსის“, მარსელის „ოლიმპიკის“, „პორტუს“, „აიაქსის“, „ბარსელონას“, დორტმუნდის „ბორუსიას“, მილანის „ინტერის“, „ლივერპულის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ეინდჰოვენისა“ და პსჟ-ს წარმომადგენლები დაესწრნენ.

სხდომის შემდეგ ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ ანალოგიური შეკრება უახლოეს მომავალშიც გაიმართება. თუმცა, სად და როდის, მას არ დაუკონკრეტებია.

ბონდა ჩქადუა

# უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; იუვენტუსი: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი)**; ინტერი: იური ჯორკაეფი(კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი)**; ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი)**; პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა)**; რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია)**; ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა)**; უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია)**; ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი)**; კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა)**; ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი)**; პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი)**; პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი)**; რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა)**; ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი)**; ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია)**; ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა)**.

შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული;

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს 26 აგვისტოს „კროკო“ ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 501 | სკონტო (ლატვია) — ჩელსი (ინგლისი) | (25,0-—) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 502 | გალათასარაი (თურქეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (—-25,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 503 | ვიძევი (პოლონეთი) — ფიორენტინა (იტალია) | (10,0-1,02) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 504 | დინამო (უკრაინა) — ოლბორგი (დანია) | (1,05-7,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 505 | მალიორკა (ესპანეთი) — მოლდე (ნორვეგია) | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 506 | მარიბორი (სლოვენია) — ლიონი (საფრანგეთი) | (1,6-1,8) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 507 | მტკ (უნგრეთი) — კროაცია (ხორვატია) | (2,0-1,5) | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | 508 | პარმა (იტალია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,8-1,6) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 509 | ბოავიშტა (პორტუგალია) — ბრონდბიუ (დანია) | (1,02-10,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 510 | აიკ (შვედეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (1,6-1,8) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 511 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ჰერტა (გერმანია) | (15,0-1,01) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 512 | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 513 | პარტიზანი (იუგოსლავია) — სპარტაკი (რუსეთი) | (4,0-1,15) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 514 | ვალენსია (ესპანეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა,ისრაელი) | (—-25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 515 | სერვეტი (შვეიცარია) — შტურმი (ავსტრია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 516 | დორტმუნდი (გერმანია) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (—-25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### უეფას თასი. I ეტაპი. II წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 26.08 | 517 | სილექსი (მაკედონია) — შახტარი (უკრაინა) | (4,0-1,15) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 518 | შირაქი (სომხეთი) — ჰიკ (ფინეთი) | (7,5-1,05) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 519 | გრაცერი (ავსტრია) — კლაკსვიკარი (ფარერები) | (—-50,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 520 | ინტერი (უელსი) — გორიცა (სლოვენია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 521 | ბირკირკარა (მალტა) — ლიუნგბიუ (დანია) | (50,0-—) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | 522 | ლეიფტური (ისლანდია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (50,0-—) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | 523 | ომონია (კვიპროსი) — ბელშინა (ბელარუსი) | (—-25,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 524 | პრინჩიპატი (ანდორა) — ვიკინგი (ნორვეგია) | (50,0-—) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 525 | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ერევანი (სომხეთი) | (—-25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 526 | ბრიუგე (ბელგია) — ტულევიკი (ესტონეთი) | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 527 | სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) — ვაასა (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 530 | ლევადია (ესტონეთი) — სტიაუა (რუმინეთი) | (25,0-—) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 531 | ბრეი (ირლანდია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (25,0-—) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 532 | ლეხი (პოლონეთი) — მეტალურგსი (ლატვია) | (1,2-3,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 533 | ტორპედო (საქართველო) — ლანტანა (ესტონეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 534 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | (—-25,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 535 | ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) | (10,0-1.07) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 536 | კორკი (ირლანდია) — გიოტებორგი (შვედეთი) | (25,0-—) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | 537 | კილმარნოკი (შოტლანდია) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (1,35-2,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 538 | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ლოკომოტივი (საქართველო) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 539 | სიგმა (ჩეხეთი) — შერიფი (მოლდოვა) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 540 | უიპეშტი (უნგრეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (25,0-—) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 541 | სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვლაზნია (ალბანეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 542 | სელტიკი (შოტლანდია) — ქუიმბრანი (უელსი) | (—-50,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 543 | ლევსკი (ბულგარეთი) — აპოელი (კვიპროსი) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 544 | კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (5,0-1,1) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 545 | დინამო (რუმინეთი) — მონდერკანჟი (ლუქსემბურგი) | (—-50,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 546 | ტოპსჰაგენი (ფარერები) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) | (5,0-1,1) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 547 | ბილისი (ალბანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 548 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — რიგა (ლატვია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 549 | ლეგია (პოლონეთი) — ვარდარი (მაკედონია) | (—-50,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 550 | ციურიხი (შვეიცარია) — სლიმა (მალტა) | (—-50,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 551 | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ჰაიდუკი (ხორვატია) | (50,0-—) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 552 | კაუნასი (ლიტვა) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | (3,5-1,2) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 553 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ბატე (ბელარუსი) | (—-50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 554 | კარედა (ლიტვა) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,7-1,7) | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 003 | არსენალი — ბრედფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 004 | ქოვენთრი — მანჩესტერი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 005 | ევერტონი — უიმბლდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 006 | ნიუკასლი — სანდერლენდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 007 | უენსდეი — დერბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### პოლონეთი. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 009 | პოლონია — რაძიონკოვი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ნორვეგია. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 011 | ბრანი — ტრომსიო | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. II წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 26.08 | 044 | როვერსი — ლუტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 045 | ქუინზ პარკი — კარდიფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 046 | სტოკი — მაკლსფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### იტალია. თასის I ეტაპი. მე-4 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 047 | ფ. ანდრია — ლეჩე | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 048 | ლუკეზე — ტერნანა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 049 | სამპდორია — ჩეზენა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 050 | პალერმო — სავოია | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | 051 | ლუმეცანე — ემპოლი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 052 | მონცა — ჯენოა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 053 | კრემონეზე — პისტოიეზე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 054 | კიევო — ატალანტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 055 | ტრევიზო — რეჯინა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 056 | კოზენცა — გუალდო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 057 | ნაპოლი — ფერმანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 058 | კომო — სალერნიტანა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 059 | ბრეშა — რეჯანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 060 | პესკარა — სტაბია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 061 | ალძანო — ვიჩენცა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 062 | რავენა — სპალ | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ზედიზედ მესამე საკალათბურთო სეზონია, საქართველო ევროთასებზე მხოლოდ ვიცე-ჩემპიონის, რუსთავის „აზოტის" სახით არის წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, „აზოტი" ქართული კლუბებიდან პირველი იწყებს ხოლმე მზადებას ახალი სეზონისთვის. ტრადიციას რუსთაველებმა არც ამჯერად უღალატეს და კორაჩის თასზე უკრაინის „ბკ კიევის" წინააღმდეგ ასპარეზობისთვის რუსთავში დაწყებულ მზადებას ურეკში აგრძელებენ. რუსთაველთა მთავარ მწვრთნელს ოთარ ხმელიძეს სწორედ ურეკში დავუკავშირდით.



ვაჟა [illegible] ფოტო

ოთარ ხმელიძე

# ფედერაციამ აზოტს ხელი უფრო უნდა შეუწყოს

**— ბატონო ოთარ, საკლუბო დონეზე უკრაინელებთან თამაში თითქმის ტრადიციად გვექცა. ოდესის „ბიპა მოდასა" და დონეცკის „შახტიორის" შემდეგ, კიევის „ბკ კიევი" მესამე გუნდია, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებს. „ბკ კიევი" ახალი შექმნილი გუნდია და, როგორ ფიქრობთ, შევძლებთ ქართველები აქამდე დაუძლეველი უკრაინული ბარიერის დაძლევას?**

— მართალია, „ბკ კიევი" ახალი შექმნილი გუნდია, მაგრამ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონისა და უკრაინის სპორტის მინისტრის ალექსანდრ ვოლკოვის სახით ისეთი პატრონი ჰყავს, რომ არა მგონია, პრობლემები ჰქონდეს. ჩვენმა მეტოქემ ამერიკის შეერთებული შტატების საუნივერსიტეტო კლუბებთან უკვე ჩაატარა ოთხი შეხვედრა და ორჯერ მოიგო კიდეც. ამჯერად ჩვენი მეტოქე ესპანეთის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. როგორც ვიცი, გუნდში ძირითადად უკრაინის ნაკრების წევრები და ორი მოწვეული ამერიკელი თამაშობენ. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ აქედანვე ხელჩაქნეულები ვართ. ჩვენც გვაქვს რაღაც პლუსები და, ყველანაირად ვეცდებით ჯგუფში მოხვედრას, სადაც ოთხმა გუნდმა უნდა ითამაშოს.

**— „აზოტის" რომელ პლუსებზეა საუბარი?**

— მეტოქისგან განსხვავებით, რამდენიმე წელია სტაბილური შემადგენლობით ვთამაშობთ.

**— მოკლე სკამის პრობლემა თუ მოაგვარეთ? ევროთასებისთვის თქვენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე რამდენიმე კალათბურთელის დამატებას აპირებდით...**

— განაცხადში შევიყვანეთ ვითელი ზურაბ ჩუბინიძე და ექსდინამოელები ირაკლი ხოშტარია და ვალერი კილაძე. ხოშტარია შემოგვიერთდა ურეკში, მაგრამ ჩუბინიძე და კილაძე ჯერჯერობით არ ჩანან. სამწუხარო ისაა, რომ ეს კალათბურთელები არც ჰოს ამბობენ და არც არას. დრო კი მიდის.

**— თქვენი აღზრდილი ლევან წიკლაური, რომელიც მერვე ეროვნულში „დინამოს" სახელით გამოდიოდა, ბოლო დროს უგუნდოდ იყო.**

— ჩემი ბიჭებისგან ვიცოდი, რომ ლევანი წინააღმდეგი არ იყო „აზოტს დაბრუნებოდა, მაგრამ მოულოდნელად სლოვენიაში გაემგზავრა. ლევანი და ვლადიმერ ბოისა ახლო მეგობრები არიან. იმის ვარაუდი, რომ ბოისას ჩააკითხა, გამორიცხულია, რადგან ვოვა ჯერ კიდევ რუსთავში იყო, როდესაც წიკლაურმა სლოვენიას მიაშურა.

**— თქვენ თვლით, რომ წიკლაური სლოვენიაში გუნდს ეძებს?**

— ლევანს ძალიან კარგი ტექნიკა აქვს და ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩევა. ეგ არის, რომ პოზიციის შერჩევა უჭირს და ამ მხრივ ბევრი მუშაობა მართებს. მიუხედავად დიდი პატივისცემისა, ჯერჯერობით მეეჭვება, წიკლაურმა სლოვენიის პირველი ლიგის გუნდები დააინტერესოს. მესამე ლიგაში უცხოელებს არ ათამაშებენ. სავარაუდოდ, იგი მეორე ლიგის რომელიმე გუნდში უნდა ისინჯებოდეს.

**— თუ წიკლაურმა წლეულს სლოვენიაში თამაში ვერ მოახერხა?**

— ევროთასებზე ვერ ითამაშებს „აზოტის" რიგებში, რადგან ჩვენს მიერ ფიბაში გადაგზავნილ სიაში იგი არ არის.

**— კონკრეტულად როდის შეუდექით მზადებას ახალი საკალათბურთო სეზონისთვის?**

— გუნდი შეიკრიბა 31 ივლისს და 5 დღის განმავლობაში ფიზიკურად ვემზადებოდით რუსთავში. ოთხიდან თოთხმეტი აგვისტოს ჩათვლით ფიზიკურ მომზადებას ვაგრძელებდით მანავში.

**— ურეკში როდის ჩახვედით?**

— თექვსმეტ აგვისტოს.

**— დიდხანს დარჩებით?**

— ოცდათერთმეტ აგვისტომდე.

**— ძირითადად რაზე ამახვილებთ ყურადღებას, ბურთით ვარჯიშზე თუ ფიზიკურ მომზადებაზე?**

— ფიზიკურ მომზადებაზე. ვთამაშობთ აგრეთვე ფეხბურთს პლაჟზე, კალათბურთს კი — სოფელ ნატანების დარბაზში.

**— ამხანაგური მატჩები თუ გაქვთ დაგეგმილი?**

— აგვისტოს ბოლოს ორ შეხვედრას ვგეგმავთ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ბათუმთან".

**— რუსთავში დაბრუნების შემდეგ რას აპირებთ?**

— სექტემბრის დასაწყისში თურქეთის ქალაქ სამსუნში დაგეგმილია შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები, სადაც ქართველი კალათბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას. რადგან ლეგიონერების ჩამოყვანა არ ხერხდება, საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში დამპირდნენ, რომ კორაჩის თასისთვის უკეთ მომზადების მიზნით, „აზოტი" ნაკრების საბაზო გუნდი იქნებაო.

**— მინიმუმ რამდენიმე აზოტელი უნდა გაემგზავროს სამსუნში?**

— ასე, ექვსი-შვიდი.

**— თუ თქვენი ვარაუდი არ გამართლდა?**

— „აზოტიდან" ნაკრებში ამჯერად სამი-ოთხი, თუნდაც ხუთი კალათბურთელის მივლინებას აზრი არ აქვს. მაშინ სხვა კალათბურთელები როგორღა ვავარჯიშო? სავარჯიშო ციკლი ხომ დამერღვევა...

რადგან შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები ფიბას ეგიდით არ ტარდება, ჩემი აზრით, ფედერაციამ „აზოტს" უფრო უნდა შეუწყოს ხელი.

**— თუ აზოტელები ნაკრებში არ გაუშვით, უკრაინელებთან შეხვედრამდე რას გეგმავთ?**

— გავაგრძელებთ ვარჯიშებს რუსთავში და ჩავატარებთ რამდენიმე შეხვედრას საქართველოს გუნდებთან.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# ვინ როგორი უცხოელია ევროლიგაში?

*1995 წელს, მანამდე უცნობმა ბელგიელმა ფეხბურთელმა ჟან-მარკ ბოსმანმა სასამართლო პროცესი მოიგო, რითაც ჯერ საფეხბურთო, მერე კი მთელი სპორტული ევროპა თავდაყირა დააყენა. „ბოსმანის საქმეს" დეტალურად არ განვიხილავთ. იმას აღვნიშნავთ, რომ მისი წყალობით ევროპამ ფართოდ გაალო მანამდე შეზღუდული სპორტული საზღვრები.*

*ეს პროცესი, ბუნებრივია, კალათბურთსაც შეეხო. დღეს საკალათბურთო ევროპა ორ ნაწილადაა გაყოფილი: ევროკავშირის ქვეყნებად და დანარჩენებად.*

*„ევროკავშირელები" ევროკავშირის ქვეყნებში თამაშისას უცხოელებად არ ითვლებიან (ვთქვათ, იტალიელი — გერმანიაში), ისევე, როგორც, „დანარჩენელები" დანარჩენ ქვეყნებში თამაშისას (ვთქვათ, იუგოსლაველი — თურქეთში). ამრიგად, უცხოელად ითვლება „ევროკავშირელი" დანარჩენ ქვეყნებში (ვთქვათ, ფრანგი — ისრაელში) და „დანარჩენელი" ევროკავშირის ქვეყნებში (ვთქვათ, სლოვენიელი — ესპანეთში). ეს რაც შეეხება ევროპას, თორემ ნებისმიერი სხვა კონტინენტის წარმოსადგენელი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში უცხოელის სტატუსით სარგებლობს.*

*კალათბურთში ერთობ მიღებულია „ორმაგი მოქალაქეობა". ჩამოვა, დავუშვათ, ამერიკელი იტალიაში, მიიღებს იტალიურ პასპორტს და მერე არც იტალიაში იქნება უცხოელი და არც ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში. იგივეს გაკეთება შეიძლება დანარჩენ ქვეყნებში. არ არის გამორიცხული „ევროპული ორმაგი მოქალაქეობა". მაგალითად, ოდედ კატაშს ისრაელის მოქალაქეობაც აქვს და საფრანგეთისაც. ამდენად, ევროპის რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდეს იგი, უცხოელად არ ჩაითვლება.*

*კიდევ არსებობენ ნატურალიზებული კალათბურთელები. ყველა ქვეყანას ნატურალიზაციის თავისებური კანონი აქვს. მაგალითად, საბერძნეთში საკმარისია წარადგინო ცნობა, რომ რომელიმე წინაპარი ბერძენი გყავს. თურქეთში კი ნატურალიზაციისთვის მხოლოდ მოთამაშის სურვილი კმარა.*

*ქვემოთ გთავაზობთ 1999-2000 წლების ევროლიგის გუნდებში მოთამაშე უცხოელთა სიას. ცხრილში მითითებულია, თუ ვინ როგორი სტატუსით ასპარეზებს კონტინენტის უმთავრეს საკლუბო ტურნირში.*

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)**

*უცხოელები:* მორისი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* ადე მანსა (საფრანგეთი); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* გრანტი (აშშ-იტალია), ობერტო (არგენტინა-იტალია); *ნატურალიზებულნი:* ტარლაჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი), ტომიჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი), ნაკიჩი (ხორვატია-საბერძნეთი), ვუკჩევიჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი)

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**

*უცხოელები:* რებრაჩა (იუგოსლავია), ბოდიროგა (იუგოსლავია); *ბოსმანის მოთამაშეები:* ჯენტილე (იტალია), კოხი (გერმანია), ბურკი (ირლანდია); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* კატაში (ისრაელი-საფრანგეთი), როჯერსი (აშშ-იტალია)

**პაოკ (საბერძნეთი)**

*უცხოელები:* ალექსანდერი (აშშ), ედვარდსი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* კოლდებელა (იტალია), პერალი (ესპანეთი); *ნატურალიზებულნი:* ბაზარევიჩი (რუსეთი-საბერძნეთი), პრელევიჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი)

**ბენეტონი (იტალია)**

*უცხოელები:* ედნი (აშშ), შეპარდი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* ნეესი (გერმანია), სანტოსი (იტალია); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* ნიკოლა (არგენტინა-ესპანეთი); *ნატურალიზებულნი:* ტრაიანი (აშშ-იტალია), დი სპალატრო (აშშ-იტალია)

**ტიმსისტემი (იტალია)**

*უცხოელები:* ვრანკოვიჩი (ხორვატია), კარნიშოვასი (ლიტვა); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* იარიჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი); *ნატურალიზებულნი:* მაიერსი (აშშ-ინგლისი-იტალია), ფუჩკა (სლოვენია-იტალია), გაი (აშშ-იტალია)

**ვარეზე (იტალია)**

*უცხოელები:* სანტიაგო (პუერტო რიკო); *ბოსმანის მოთამაშეები:* ვუხერერი (გერმანია); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* ალენი (აშშ-ავსტრია), სეკუნდა (აშშ-ირლანდია)

**ბარსელონა (ესპანეთი)**

*უცხოელები:* გოლდვაიერი (აშშ), დ. ოლსტონი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* რენციასი (საბერძნეთი), ელსონი (ჰოლანდია), დიგბო (საფრანგეთი); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* გუროვიჩი (იუგოსლავია-საბერძნეთი)

**რეალი (ესპანეთი)**

*უცხოელები:* ბ. სკოტი (აშშ), ჯენინგსი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* სტრიულენსი (ბელგია), გნადი (გერმანია), ლარსენი (დანია)

**კახა სან ფერნანდო (ესპანეთი)**

*უცხოელები:* ტერნერი (აშშ), რ. სკოტი (აშშ); *ორმაგი მოთამაშეობის მოქალაქეები:* შუტე (ბრაზილია-გერმანია), ფორტე (აშშ-საფრანგეთი); *ნატურალიზებულნი:* მ. სმიტი (აშშ-ესპანეთი)

**ვილერბანი (საფრანგეთი)**

*უცხოელები:* მეკსი (აშშ), საილასი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* ლომი (შვედეთი); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* ლარანიაგა (აშშ-ირლანდია); *ნატურალიზებულნი:* სამი (ცენტრალური აფრიკა-საფრანგეთი)

**პო ორტეზი (საფრანგეთი)**

*უცხოელები:* გულიაში (უნგრეთი); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* კალაბრია (აშშ-იტალია), ტეილორი (აშშ-გერმანია); *ნატურალიზებულნი:* რ. სმიტი (აშშ-საფრანგეთი)

**პოლე (საფრანგეთი)**

*უცხოელები:* ჰეიესი (აშშ), ჰ. ოლსტონი (აშშ); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* გარავალია (აშშ-იტალია); *ნატურალიზებულნი:* მილერი (ბაჰამები-საფრანგეთი), ევოდო (კამერუნი-საფრანგეთი)

**თოფაში (თურქეთი)**

*უცხოელები:* რივერსი (აშშ), გრიფიტი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* რიმაცი (ხორვატია); *ნატურალიზებულნი:* როჯერსი (აშშ-თურქეთი), პესკანოვიჩი (ბოსნია-თურქეთი)

**ეფესი (თურქეთი)**

*უცხოელები:* ჯეკსონი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* დრობნიაკი (იუგოსლავია), მულაომეროვიჩი (ხორვატია); *ნატურალიზებულნი:* დალი (ბოსნია-თურქეთი)

**ულქერი (თურქეთი)**

*უცხოელები:* რადი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* კოტუროვიჩი (იუგოსლავია); *ნატურალიზებულნი:* რენკინი (აშშ-თურქეთი), ოზთურქი (გერმანია-თურქეთი)

**ოლიმპია (სლოვენია)**

*უცხოელები:* სამაკე (მალი); *ბოსმანის მოთამაშეები:* კოვაჩიჩი (ხორვატია), იასიკევიჩუსი (ლიტვა); *ნატურალიზებულნი:* პარავინია (ხორვატია-სლოვენია), მოდრიჩი (ხორვატია-სლოვენია), გოლემაცი (ხორვატია-სლოვენია)

**პივოვარნა (სლოვენია)**

*ბოსმანის მოთამაშეები:* ლისიცა (იუგოსლავია), ჟარკოვიჩი (იუგოსლავია), გილიჩი (იუგოსლავია), ბაირამოვიჩი (ბოსნია); *ნატურალიზებულნი:* გოლიოვიჩი (იუგოსლავია-სლოვენია)

**მაკაბი (ისრაელი)**

*უცხოელები:* ჰოფმანი (აშშ), კომეგისი (აშშ); *ორმაგი მოქალაქეობის მოთამაშეები:* მაკდონალდი (აშშ-სლოვენია); *ნატურალიზებულნი:* ბრისკერი (აშშ-ისრაელი), პოპა (რუმინეთი-ისრაელი), შარფი (აშშ-ისრაელი), რადოვიჩი (იუგოსლავია-ისრაელი), კაზარნოვსკი (რუსეთი-ისრაელი)

**ცსკა (რუსეთი)**

*ბოსმანის მოთამაშეები:* ეინიკისი (ლიტვა), ვეტრა (ლატვია), სკელინი (ხორვატია), კრივონოსი (ბელარუსი); *ნატურალიზებულნი:* დაინეკო (ბელარუსი-რუსეთი), ტიხონენკო (ყაზახეთი-რუსეთი)

**ალბა (გერმანია)**

*უცხოელები:* ალექსისი (აშშ), კინგი (აშშ); *ბოსმანის მოთამაშეები:* ჰამინკი (ჰოლანდია); *ნატურალიზებულნი:* ბოგოევიჩი (იუგოსლავია-გერმანია), ტომიჩი (ხორვატია-გერმანია), პაპიჩი (იუგოსლავია-გერმანია)

**ჟალგირისი (ლიტვა)**

*უცხოელები:* ვილიამსი (აშშ), *ბოსმანის მოთამაშეები:* გრგატი (ხორვატია), ზიდეკი (ჩეხეთი)

**ციბონა (ხორვატია)**

*უცხოელები:* ანდერსონი (აშშ)

**ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)**

*უცხოელები არ ჰყავს*

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)**

*უცხოელები არ ჰყავს*

# კარლოს მოია: ჰამლეტის კითხვა ჰამლეტის თასზე

**ნიუ იორკი. აშშ.**
**ჰამლეტის თასი.**
**საპრიზო 325 000 $**

რამდენიმე თვის წინ კარლოს მოია მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ და ამ უდიდესი მიღწევით თავს უზომოდ ბედნიერად თვლიდა. მაშინ კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა, მატჩს მატჩზე იგებდა და გრანდს გრანდზე ამარცხებდა. მოიამ 1998 წლის საფრანგეთის ღია პირველობა და კიდევ რამდენიმე დიდი ტურნირი მოიგო, რამაც მას დიდება, უამრავი ფული და ქულა მოუტანა. ამიტომაც მიაღწია პირველობას კლასიფიკაციაში. ოდესღაც პირველი ჩოგანი ახლა მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა. თანდათან კარგავს იგი საკლასიფიკაციო ქულებს და წარუმატებლობა მისი თანამგზავრი გახდა. ახლაც ნიუიორკელი ტურნირიდან ისე გამოვარდა, პირველი წრეც ვერ გაიარა. იგი მესამე ნომრად იყო განთესილი და ბრაზილიელ ფერნანდო მელიგენის ხვდებოდა, კაცს, რომელსაც მოიასთვის დღემდე არ მოუგია. ბრაზილიელს საერთოდ უჭირს ჰარდზე თამაში და ამგვარ საფარზე ათეულის რომელიმე წევრი სიცოცხლეში არ დაუმარცხებია. ორი წლის წინ მოიამ ეს ტურნირი კიდეც მოიგო, ახლა კი მას პირველივე წრიდან გამოეთხოვა. მელიგენიმ მატჩის დაწყებისთანავე აგრძნობინა ესპანელს, რომ არასდიდებით არ დანებდებოდა და ბოლომდე იბრძოლებდა. პირველი სეტის მოგება მოიამ მხოლოდ ტაი-ბრეიკში მოახერხა, თან დიდი წვალებით, მაგრამ მეორე სეტის ტაი-ბრეიკში დამარცხდა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. თუმცა ცდილობდა, იხტიბარი არ გაეტეხა, აშკარა იყო, ფიქრობდა, მეორე სეტში გაფუჭებულ საქმეს მესამეში აუცილებლად გამოვასწორებო. ეს კი მელიგენიმ აღარ დააცალა და ტურნირიდან ნაადრევად მიაბრძანა.

სწორედ კარლოს მოიას საკმაოდ მოულოდნელი მარცხი გახლდათ ორშაბათს დაწყებული ჰამლეტის თასის პირველი დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მიუხედავად არცთუ სოლიდური საპრიზო ფონდისა, ტურნირს საკმაოდ მძლავრი შემადგენლობა ეწვია. პირველ დღეს მხოლოდ სამ განთესილს მოუწია კორტზე გასვლამ და მათგან ერთადერთი მოია ჩაფლავდა. საინტერესო გამოდგა შეხვედრა ორ შვედს — მეშვიდე ნომრად განთესილ ტომას ენკვისტსა და მაგნუს ლარსონს შორის. ამ უკანასკნელმა მატჩის მოსაგებად ყველაფერი გაიღო, პირველ სეტში იმარჯვა, მაგრამ მეორეში ტაი-ბრეიკში დამარცხდა და გულაცრუებულმა წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტ თანამემამულესთან ვერაფერი გააწყო.



ფერნანდო მელიგენი



REUTERS ნიუ იორკიდან

კარლოს მოია

კიდევ ერთმა განთესილმა, მეხუთე ნომერმა რიხარდ კრაიჩეკმა იოლად გაართვა საქმეს თავი. ჰოლანდიელმა უმტკივნეულოდ, ორ სეტში სძლია ამერიკელ გემბილს.

ტურნირმა ჯერ კიდევ დაწყებამდე განიცადა სერიოზული დანაკლისი, ტრავმების გამო ერთბაშად ორი ბობოლა დააკლდა, თან ორივე ავსტრალიელი. ერთ-ერთი შარშანდელი ჩემპიონი პატრიკ რაფტერია, რომელიც ერთი კვირით ადრე განთესეს მეორე ნომრად და მერე უარი თქვა მონაწილეობაზე, მხარი მტკივაო. მის თანამემამულე მარკ ფილიპუსისს (იგი მეხუთე ნომრად იყო განთესილი) თამაშის საშუალებას ნატკენი მუხლი არ მისცემს.

პირველი წრე: **ფერნანდო მელიგენი** (ბრაზილია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:7, 7:6, 6:3; **რიხარდ კრაიჩეკი** (5, ჰოლანდია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:3; **ტომას ენკვისტი** (7, შვედეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 4:6, 7:6, 6:1; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — სტეფან კუბიკი (ავსტრია) 6:4, 6:2; **იუნეს ელ აინუი** (მაროკო) — ფრანცისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6, 6:1; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 1:6, 6:3, 6:2; **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:4.

**ნიუ ჰეივენი. აშშ.**
**საპრიზო 500 000 $**

მეექვსე ნომრად განთესილმა ფრანგმა ჟული ალარიმ მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ათეულში ყოფნის პირველი დღე ნიუ ჰეივენის პირველი ეტაპის გავლით აღნიშნა. არადა, სავსებით მოსალოდნელი იყო, ალარი მისთვის ამ განსაკუთრებულ დღეს ცუდ ხასიათზე შეხვედროდა. პირველ წრეში გამარჯვება ფრანგს ციდან არ ჩამოუვარდა, გარჯის და ოფლისღვრის შედეგად მოიპოვა, ცოტა ბედმაც გაუმართლა, თორემ მეორე სეტის ტაი-ბრეიკში რამდენიმე მნიშვნელოვანი გათამაშება რომ არ მოეგო, მატჩს წააგებდა, რადგან პირველი სეტი გერმანელ მეტოქეს, ანუ ჰუბერს დაუთმო. „თავს მშვენივრად ვგრძნობ, ბედნიერი ვარ, რომ ახლა, კარიერის ბოლოს, მწვერვალზე ვიმყოფები და მომავალში კიდევ მოვუმატებ." დიახ, ჟული ალარი ნამდვილად არ არის პატარა გოგონა, სამ კვირაში 29 წლისა სრულდება და დიდი იმედი აქვს, ამ დღეს ამერიკის ღია პირველობაზე წარმატებით გახარებული შეხვდება.

ჟული ალარისგან განსხვავებით, არ გაუმართლა კიდევ ერთ ფრანგ განთესილს, მეშვიდე ნომერ ნატალი ტოზიას. მართალია, მან ჰენრიეტა ნაგიოვას პირველი სეტი 6:3 მოუგო, მაგრამ ამ ნაკლებცნობილმა ჩეხმა ქალმა შემდეგ შური იძია და მომდევნო ორი სეტი ზუსტად ასეთივე ანგარიშით მოიგო.

ვინაიდან პირველი ოთხი განთესილი (დევენპორტი, ვინუს უილიამსი, სელეში და ნოვოტნა) პირველ წრიდან თავისუფალია და მათი დებიუტი მხოლოდ მეორეში შედგება, იმ დღეს მოთამაშეთაგან რანგით ყველაზე ძლიერი მეხუთე ნომრად განთესილი ამანდა კუტცერი იყო. მანაც ამელი კოშეტოსთან თავი არ შეირცხვინა და გაიმარჯვა, თუმც ამისთვის მას, ჟული ალარის არ იყოს, სამი სეტი დასჭირდა.

პირველი წრე: **ამანდა კუტცერი** (5, სამხრეთ აფრიკა) — ამელი კოშეტო (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:1; **ჟული ალარი** (8, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 4:6, 7:6, 6:2; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:3; **მარია ანტონია სანჩეს ლორენცო** (ესპანეთი) — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) 6:2, 6:7, 6:2; **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) — ანჯელეს მონტოლო (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:2; **რუქსანა დრაგომირი** (რუმინეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 7:5, 6:7, 7:5; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:3; **მაგუი სერნა** (ესპანეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:3; **საბინ აპელმანსი** (ბელგია) — სილივა პლიშკე (ავსტრია) 3:6, 6:1, 6:4; **ამელი მორესმო** (საფრანგეთი) — კვეტა ხრლიკოვა (ჩეხეთი) 6:4, 3:6, 7:5; **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4, 5:7, 4:2 (ლიხოვცევა დისკვალიფიცირებულია).

**ივანე ძოგიაშვილი**



# უნიფხვო ტორპმა ნიფხვიან კლიმს აჯობა

**წყნარი** ოკეანის პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა შეჯიბრებები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ისაა, რომ მათ ასპარეზობებში გამოდიან ტრადიციულად ცურვაში ფრიად დაწინაურებული აშშ-სა და ავსტრალიის წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთთან პაექრობაში ხშირად მსოფლიოს რეკორდებსაც ამყარებენ. ამიტომაც ცურვის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ სიდნეიში მიმდინარე წყნარი ოკეანის თამაშებზე მოცურავეთა შეჯიბრებების დაწყებას, რომელიც გულშემატკივრებს არ აწბილებს.

ეს ასპარეზობა მართლაც რეკორდების წვიმით დაიწყო.

— რეკორდების სიმრავლე ვერ ამიხსნია, — ამბობს ამერიკელი ჯენი ტომპსონი, რომელიც თავადაც ერთ-ერთი რეკორდის ავტორი გახდა.

რეკორდი რეკორდია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი სწორედ ჯენი ტომპსონის შედეგია, რომელიც მან 100 მეტრზე ქალთა ბატერფლაით ცურვაში აჩვენა — 57,88. ამით 26 წლის ტომპსონმა 0,05 წამით გააუმჯობესა ცურვაში უძველესი მსოფლიო რეკორდი, რომელიც მის თანამემამულე მერი მიგერს ეკუთვნოდა.

თავად ჯენი ტომპსონი აქამდეც კარგად ცნობილი მოცურავე იყო. მას ხუთი ოლიმპიური „ოქრო" მოუპოვებია, ოღონდ ხუთივე ესტაფეტებში.

ახლანდელი მსოფლიოს რეკორდი ტომპსონს ალბათ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის იმედით აღავსებს, რომ ბოლოს და ბოლოს ოლიმპიურ ჩემპიონობას ინდივიდუალურ სახეობაშიც მოიპოვებს.

მსოფლიოს რეკორდით დაგვირგვინდა 100 მეტრზე ვაჟთა გულაღმა ცურვაც, სადაც ჯენი ტომპსონის თანამემამულემ, უკრაინაში დაბადებულმა 22 წლის ლენი კრეიზელბერგმა იმარჯვა — 53.60. ძველი რეკორდი (53,86), რომელიც ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე იყო დამყარებული, ამერიკელ ჯეფ როუზსს ეკუთვნოდა.

— ამ შეჯიბრებაზე ჩემი მიზანი უბრალოდ გამარჯვება კი არა, მსოფლიოს რეკორდის დამყარება იყო, მაგრამ იმ შედეგით, რაც ვაჩვენე, თავადაც გაოცებული ვარ, — თქვა კრეიზელბერგმა, რომელიც მსოფლიოს რეკორდთან მანამდეც რამდენჯერმე ახლოს იყო, მაგრამ...



REUTERS სიდნეიდან

მაიკლ კლიმს (მარჯვნივ) თანაგუნდელ იან ტორპთან ბრძოლაში ახალმა საცურაო კოსტიუმმა ვერ უშველა



ჯენი ტომპსონს რეკორდების სიმრავლე ვერ აუხსნია



ლენი კრეიზელბერგი თავისი შედეგით გაოცებულა

ძალზე გამოიჩინა თავი ავსტრალიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა, 16 წლის იან ტორპმა: მან ნახევარფინალურ გაცურვაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი, როცა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით 1.46,34 აჩვენა.

ძველი რეკორდის ავტორი გახლდათ მისი თანამემამულე გრანტ ჰაკეტი, რომელმაც ის შედეგი წლეულს მარტში ბრისბენის აუზში აჩვენა. მაგრამ ტორპი ამით არ დაკმაყოფილდა და გუშინ უკვე თავისივე მსოფლიო რეკორდი ფინალში გააუმჯობესა — 1.46.00

ტორპმა 200 მეტრიან დისტანციამდე 24 საათით ადრე 400 მეტრზე იმავე სახეობაშიც დაამყარა მსოფლიოს რეკორდი (3.41,83)

იან ტორპი და მისი თანამემამულენი, ასევე მსოფლიოს ჩემპიონები მაიკლ კლიმი და სიუზან ო ნეილი წყნარი ოკეანის თამაშებზე აპირებდნენ სტარტზე ეგრეთწოდებული ჰიდროდინამიკური საცურაო კოსტიუმებით გამოსვლას.

ეს კოსტიუმები მეტად უცნაურია. ისინი გარეგნულად ჰგვანან ისეთ საცურაო კოსტიუმებს, როგორებიც საუკუნის წინათ იყო მოდაში და მაშინდელ ფოტოსურათებში თუ გვინახავს. მაგრამ თანამედროვე სამოსი იმ მუხლებამდე ნიფხვებისგან ძალზე განსხვავდება. იგი წელს ზემოთ ისე გამოიყენება, როგორც ქალთა საცურაო კოსტიუმი, ოღონდ ჰიდროდინამიკურია და მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის წინაღობას. ამიტომ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია კრძალავს შეჯიბრებებზე დელფინის კანივით სლიპინა შავი სამოსის გამოყენებას. უფრო სწორედ ამგვარი კომბინიზონით დამყარებული მსოფლიო რეკორდი ასეთ მიღწევად არ აღინუსხება.

ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის დონ ტელბოტის აზრით, ასეთი სამოსის ლეგალიზაციისთვის მათმა მწარმოებელმა ფირმებმა უნდა იზრუნონ. თუმცა ისინი საამისოდ თავს არ იწუხებენ.

დაკანონდება თუ არა ამგვარი საცურაო კოსტიუმები, ეს ექვსი თვის მერე გადაწყდება და ალბათ, დადებითად.

მართალია, სტამბოლში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული ინგლისელი პოლ პალმერიც თურქეთის ქალაქში სწორედ ამ ფორმით იწონებდა თავს და ოფიციალურ შეჯიბრებებზე თავად მაიკლ კლიმიც გამოსულა ამგვარად გამოწყობილი, მაგრამ ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) სანქციებს მხოლოდ იმიტომ დაალწიეს თავი, რომ მათ მიერ ნაჩვენები შედეგები ძალზედ შორს იყო რეკორდებისგან.

ასეა თუ ისე, ეტყობა, მაიკლ კლიმს მსოფლიო რეკორდის დამყარების იმედი არც ახლა ჰქონდა და წყნარი ოკეანის თამაშებზე იგი ფინას მუქარას არ შეეპუა, ნიფხვის მსგავსი საცურაო კოსტიუმით იასპარეზა, მაგრამ თანაგუნდელმა 16 წლის უნიფხვო ტორპმა მაინც აჯობა.

და მაინც, ახალი საცურაო კომბინიზონის დაკანონების შემთხვევაში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ალბათ უფრო მეტი მსოფლიოს რეკორდი დაემხობა.

**გიგა გურასაშვილი**

# არგენტინული ტესტ-სიურპრიზი

უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება მორაგბეთა მსოფლიოს თასის დაწყებამდე, რომელსაც ბრიტანეთი და საფრანგეთი ერთიანი ძალებით უმასპინძლებენ. მასში მონაწილე ყველა გუნდის ვინაობა ცნობილია. ეროვნული ნაკრებებიც შეჯიბრების დაწყებამდე გამალებით ემზადებიან და ტესტ-მატჩებსაც მართავენ. ამ უქმეებზე ოთხი ასეთი მატჩი ჩატარდა, რომლებზეც ორიოდ სიტყვით ახლა მოგითხრობთ

თვიქნემი, 21.08

**ინგლისი 106 (31):8 (8) აშშ**

**ინგლისი: პერი, ლუგერი, დე გლენვილი, გასკოტი, ჰელი, უილკინსონი, დეისონი, ჰილი, დალალიო, ბეკი, ჯონსონი (კაპ.), გრიუკოკი, ვიკერი, გრინინგი, როუნთრი**

**16ლ. — გასკოტი (4), ლაჯერი (2), ჯონსონი (2), ბეკი (2), პერი (2), დეისონი, გრინინგი, დე გლენვილი, ჰილი; 13გ. — უილკინსონი**

**აშშ: შუმანი, ენტონი, გრობლერი, ტაკაუ, საულალა, ნიუ, დალზელი, ლაილი (კაპ.), მოუნგა, ჰადჯისი, პარკერი, გროსი, ლენერი, ბილაპსი, საჩერი**

**1ლ. — საჩერი; 1ს. — დელზელი**

ინგლისელმა მორაგბეებმა თავიანთი გულშემატკივრების თვალწინ ამერიკელი „არწივები" არ დაინდეს და უმოწყალოდ გაანადგურეს. 16-მა ლელომ და 13-მა გარდასახვამ ანგარიშში სხვაობა ასტრონომიული გახადა. სტუმრებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს და მატჩიც მასპინძლების უბრალო ვარჯიშს უფრო დაემსგავსა, ვიდრე მსოფლიოს თასზე მოხვედრილი ნაკრების ტესტს.

თუმცა თამაშში პირველად სწორედ ამერიკელები დაწინაურდნენ დელზელის ზუსტად შესრულებული საჯარიმოს შემდეგ. მერე კი ინგლისელებმა გაილაღეს. პირველი ტაიმი 31:8 დასრულდა მათ სასარგებლოდ. ეს ისეთი ანგარიში იყო, აშშ-ს ნაკრებს საქვეყნოდ თავს რომ არ სჭრიდა, თუმცა სწორედ პირველ ტაიმში აღმოაჩინეს კუნძულელებმა მოწინააღმდეგის დაცვის სუსტი წერტილები და შესვენების შემდეგ მას ლელოებიც დააწვიმეს — საერთო ჯამში, მეორე ნახევარში ინგლისელებმა 75 ქულა მიითვალეს.

ყველაზე მეტჯერ ჯერემი გასკოტმა შეაღწია ოვალური ბურთით მეტოქის სალელოე მოედანში. ლაჯერი, ჯონსონი, ბეკი და პერი კი ორ-ორი ლელოთი „დაკმაყოფილდნენ". თამაში კიდევ იმით იყო საყურადღებო, რომ იძულებითი შესვენების შემდეგ (რაზეც ჩვენს მკითხველს თითქმის ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ) ინგლისელთა ნაკრებს მისი ყოფილი კაპიტანი ლოურენს დალალიო დაუბრუნდა. იტალიური წარმოშობის მორაგბემ, მართალია, ლელოს გატანა ვერ მოახერხა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა მხრივ შეუდარებელი იყო, რაც სპეციალისტებმაც ერთხმად აღნიშნეს.

მარიფილდი, 21.08

**შოტლანდია 22 (8):31 (16) არგენტინა**

**შოტლანდია: მეტკელფი, კ. მიურეი (ლონგსტაფი 59), ტეიტი, მაკლარენი (ჩამბერსი 78), ლოგანი, პოჯი, არმსტრონგი (კაპ), პოუტნი, რეიდი, უოლტონი (სიმპსონი 61), გრიმესი (ვეირი 68), ს. მიურეი, ბარნელი (გრეჰემი 52), ბულოკი, სმიტი**

**3ლ. — მეტკელფი, ტეიტი, უოლტონი; 2გ. და 1ს. — ლოგანი**

**არგენტინა: მ. კონტეპომი, ალბანეზე, სიმონე (ფ. კონტეპომი 66), არბიზუ (კაპ.), ბარტოლუჩი, კესადა, პიშო, ლონგო, ოსტილია, მარტინი (ფელანი 54), ალუბი, ლობე, რეგიარდო (ჰასანი 41), კანალდა, გრაუ**

**3ლ. — ბარტოლუჩი (2), ალბანეზე; 2გ., 3ს. და 1ა. — კესადა**

უქმეების მთავარი სიურპრიზი შოტლანდიის დამარცხება იყო არგენტინელებისგან. ბოლო ხანებში „პუმები" საკმაოდ კარგად ასპარეზობენ და უძლიერესებისთვის ანგარიშგასაწევ ძალადაც იქცნენ, მაგრამ მარიფილდში მათ წარმატებას ბევრი ვერ იფიქრებდა. არადა, ანგარიში სრულად ნამდვილად არ ასახავს სამხრეთამერიკელთა სათამაშო უპირატესობას. მათ უკეთ რომ ნამოეყენებინად მომენტები, გაცილებით დიდი სხვაობით დაამარცხებდნენ ხუთი ერის ბოლო პირველობის გამარჯვებულს. არგენტინელთა მოგების მთავარი სულისჩამდგმელი უკანახაზელები იყვნენ, რომლებიც შოტლანდიელებზე გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ.

„პუმების" ფრთამ, ოკტავიო ბარტოლუჩიმ ორი ლელო გაიტანა, დამრტყმელმა გონსალო კესადამ კი 16 ქულა მიითვალა და ამის წყალობით არგენტინამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. აქამდე ოკეანისგაღმელებს ბრიტანეთის კუნძულებზე გამართულ ვერც ერთ შეხვედრაში ვერ ეჯობნათ მასპინძლებისთვის. მატჩის შედეგმა უელსელებიც უნდა დააფიქროს — ისინი ხომ მსოფლიოს თასის გახსნის თამაშში სწორედ არგენტინელებს დაუპირისპირდებიან.

რაც შეეხებათ შოტლანდიელებს, ისინი ხუთი ერის პირველობის მოგების შემდეგ ციდან მიწაზე უნდა დაეშვნენ, რადგან უხეირო სამხრეთაფრიკული ტურნეს შემდეგ ნამდვილად დაუგეგმავი და გაუთვალისწინებელი მარცხი იწვნიეს და რამე თუ არ მოიმოქმედეს. ასეთი თამაშით მსოფლიო თასზე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

კარდიფი, 21.08

**უელსი 33 (21):19 (9) კანადა**

**უელსი: ჰოვარტი, უოლნი, დევისი, გიბზი (ჯოუნსი 80), ბეტმანი, ჯენკინსი, ჰალეი (კაპ.), უილიამსი, ს. კოუნელი (უოტი 80), ლუისი, მური, ჩ. კოუნელი (ლეველინი 67), ევანსი (იანგი 67), ჰამფრიზი, როჯერსი**

**2ლ. — ჯენკინსი, უოლნი; 1გ. და 7ს. — ჯენკინსი**

**კანადა: სტიუარტი, სტენლი, ლოგჰედი, ბრაიანი, სმიტი, რიისი (კაპ.) (როსი 74), უილიამსი, ბაჰი, ჩარონი, ჰატჩინსონი, ჯეიმსი, ტაიტი (შმიდი 67), კარდინალი, სნოუ**

**1ლ. — ლოგჰედი; 1გ., 3ს. და 1ა. — რიისი**

უელსელებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და მსოფლიოს თასის ნახევარფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ. თუმცა ჩრდილოამერიკელებთან მათ იოლი თამაში ნამდვილად არ ჰქონიათ და კანადელების დამარცხება გაუჭირდათ. პირველმა ტაიმმა ძირითადად მასპინძელთა შეტევებში ჩაიარა და მათმა დამტყმელმა ნეილ ჯენკინსმაც შვიდჯერ გაატარა ბურთი მეტოქის ძელებს შორის. მოწინააღმდეგე ბანაკიდან მხოლოდ გარეტ რიისმა უპასუხა — მან სამი საჯარიმო დარტყმა შეასრულა ზუსტად.

შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით წასულ უელსელებს წესით არც მეორე ტაიმში უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კანადელები ჩინებულად გაისარჯნენ და ერთი პირობა მეტოქის ნახევარზეც დამკვიდრნენ. ამის შედეგად კი მათ ის მოიმკეს, რომ ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში გარდასახული ლელო გაიტანეს და ცოტა ხანში რიისმა კიდევ სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა (21:19) და გამარჯვებულის ვინაობაც საეჭვო გახდა.

სტუმართა სამწუხაროდ, მათი წინსვლა აქ შეჩერდა. მატჩის სადავეებს კვლავ უელსელები დაეუფლნენ. მასპინძლებმა თავიანთ აქტივს თორმეტი ქულა შემატეს და გაიმარჯვეს კიდეც. უელსი მომავალ ტესტს შაბათს გამართავს. მისი მეტოქე საფრანგეთი იქნება. კანადა კი, თავის მხრივ, ინგლისს ესტუმრება.

აკილა, 22.08

**იტალია 49 (18):17 (12) ურუგვაი**

**იტალია: პინი, როზელი, სტოიკა, მარტინი (ჩეპოლინო 67), ვაკარი, დომინგესი (სკაკაკაკა 83), ტრონკონი (მასი 73), კაიონე, სავიომი (ტრავინი 67), ჯიოვანელი (დე როსი 77), გიაჯერი, ჩეკინატო, პროპერზი (კასტელანი 47), მოსკარდი (მორეტი 70), დე კარლო**

**7ლ. — ვაკარი (2), როსელი (2), სავიომი, სტოიკა, პინი; 4გ. და 2ს. — დომინგესი**

**ურუგვაი: კარდოზო, სერვინო, ვესინო, მენდარი, პოსტაბილე, აგუირი, სკიარა, ორმაეჩეა, ბადო (ლაფიტი 51), ბრინიონი, დე ლეონი, ალზუეტა (ბერუტი 60), ლემუანი (სტორასი 65), ლამელასი (ლოს სანტოსი 65), სანჩესი (მაჩადო 72)**

**3ლ. — ორმაეჩეა (2), ბერუტი; 1გ. — კარდოზო**

იტალიელებმა საკმაოდ იოლად დაჯაბნეს სტუმრები, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ტაიმმა მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. შესაბამისად, იტალიელთა ახალი მწვრთნელი მასკიოლეტი სამხრეთაფრიკული კატასტროფული ტურნეს შემდეგ კმაყოფილი უნდა იყოს — მან თანამდებობიდან წასული კოსტე შეცვალა. ნაკრების ყოფილმა თავკაცმა იტალიური რაგბის განვითარებისთვის ბევრი რამ კი გააკეთა, მაგრამ მის ტაქტიკურ მოსაზრებებს იქაური ფედერაციის ხელმძღვანელები ვერაფრით შეეგუენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ტაიმში ურუგვაელები საკმაოდ კარგად ეპაექრებოდნენ მოწინააღმდეგეს და მას ბევრად წინ გასვლის საშუალება არ მისცეს. ვაკარის ორ ლელოს ვეტერანმა ორმაეჩეამ ამდენივეთი უპასუხა, თუმცა აპენინელთა დამრტყმელი დომინგესი თავის ურუგვაელ კოლეგაზე უკეთ გაისარჯა და კარდოზოზე ექვსი ქულით მეტი მოიხვეჭა. იტალიამ ამ ექვსი ქულით მოიგო კიდეც.

შეხვედრის მეორე ნახევარში მასპინძლებმა თამაშის ტემპი გაზარდეს, ურუგვაელებსაც დაღლა შეეტყოთ და „სკუადრა აძურას" შეტევების მოგერიებას ველარ ახერხებდნენ. საბოლოოდ სამხრეთამერიკელებმა კიდევ ხუთი ლელო გაუშვეს და მხოლოდ ერთის გატანა მოახერხეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ.

**გაიოზ თალაქვაძე**



REUTERS

არგენტინელმა მაურიციო რეგიარდომ შოტლანდიელ პეტერ უოლტონს კინაღამ ყბა აახია



REUTERS

უელსელმა სკოტ კუინელმა (ბურთით) კანადელთა დაცვა არაერთხელ გაარღვია





REUTERS

ვალენტინო როსი

# ოქროს ბიჭუნა ტიტულისკენ მიჰქრის

საზაფხულო „არდადეგების" შემდეგ განახლდა მსოფლიოს ჩემპიონატი მოტორბოლაში. თვენახევრიანმა იძულებითმა შესვენებამ სპორტის ამ სახეობის ქომაგებს ალბათ გვარიანად მოანატრათ ხიფათიანი მოსახვევები, რისკიანი გასწრებები, ფანტასტიკური ფინიშები და ამ ჭრელი და საინტერესო სანახაობის შემომქმედნი — იტალიელი ოქროს ბიჭუნა ვალენტინო როსი, ესპანელი ალექს კრიველე, იტალიელი მაქს ბიაჯი, იაპონელი მასაო აზუმა, კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი იტალიელი მარკო მელანდრი და სხვები.

— რბოლა როსის მონაწილეობით მარტო შეჯიბრება არ არის, ეს მომხიბვლელი გარეგნობის უნიჭიერესი ბიჭი თავისი არაორდინალური ოსტატობითა და თუნდაც საქციელით სპექტაკლად აქცევს ნებისმიერ სპორტულ ასპარეზობას — როგორც თქვა მოტორბოლებში ჭიპმოჭრილმა ერთმა ვეტერანმა.

ეს მართლაც ასეა. უკვე მესამე წელიწადია, რბოლებზე გადაღებულ კვირის საუკეთესო ფოტოზე აუცილებლად ვალენტინო როსია. ბრნოს მოტოდრომზე გამართულ რბოლებში, სადაც ჩეხეთის დიდი პრიზი გათამაშდა, ისევ საუკეთესოებმა გაიმარჯვეს.

კლას 125-ში პირველი იყო იტალიელი მელანდრი, მეორე — იაპონელი უედა, მესამე — იტალიელი ჩეკინელო. აქ 10 ეტაპის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს იაპონელი აზუმა — 161 ქულა. მეორეზეა ესპანელი ემილიო ალზამორა — 157, მესამეზე რობერტო ლოკატელი — 119. მელანდრი ამ გამარჯვებით მიუახლოვდა ლიდერებს და ახლა 115 ქულით მეოთხეა.

კლას 250-ში შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია. ვალენტინო როსიმ ბრნოს ტრეკზე წლევანდელ სეზონში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა და ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული სწორედ მისი საკუთრება გახდება. საკითხავი მხოლოდ ის არის, 125-სა და 250-ში გამარჯვებების შემდეგ მომავალ სეზონში 500-იანებში იასპარეზებს მთელი ევროპის როკერების კუმირი თუ ამავე კლასში დარჩება.

მეთერთმეტე ეტაპის წინ როსის 190 ქულა აქვს, მის მთავარ კონკურენტს იაპონელ უკავას — 163. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ლორის კაპიროსი გვარიანად ჩამორჩა, ჩეხეთის დიდ პრიზზე მან მხოლოდ მეშვიდე ადგილის დაკავება და 8 ქულის აღება შეძლო. იტალიელ „ექსჩემპიონს" 130 ქულა აქვს.

ხუთასიანების ასპარეზობა და საერთოდ, ჩემპიონატიც ძალზე დააზარალა მრავალგზის ჩემპიონის ავსტრალიელი დუენის დაშავებამ მესამე ეტაპზე. ტრავმა სერიოზული გამოდგა და დუენიც ჯერ მხოლოდ მაყურებლის როლში ევლინება დიდი პრიზის გათამაშებებს. ამ კლასში დიდი უპირატესობით ლიდერობს ესპანელი ალექს კრივილე და საოცრება უნდა მოხდეს, რომ მან ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ვერ შეძლოს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

# ქართველებმა შეცდომები ეგვიპტეში გაასწორეს



ზაზა დოლიძესა და მის შეგირდებს შემოდგომაც ცხელი ელით

საქართველოს ჩემპიონი ხელბურთში თბილისის „სტუ-შევარდენი“ ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გამალებით ემზადება. ამ ეტაპზე მისი მეტოქეა კვიპროსის „სტროვოლოუ“. ჩვენი ხელბურთელები პირველ თამაშს 28 აგვისტოს გამართავენ სტუმრად, 4 სექტემბერს კი თბილისში უმასპინძლებენ მეტოქეს.

გუნდი ახლახან ეგვიპტეში იმყოფებოდა ერთკვირიან შეკრებაზე. კლუბი კლუბად და ჩემპიონთა თასი თასად, მაგრამ „სტუ-შევარდენი“ ხომ ნაკრების საბაზო გუნდია, ნაკრებს კი 11 და 18 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრი საპლეიოფო თამაშები ელის დანიელებთან. ამდენად, მისი ყოველი ნაბიჯი ორმაგად საინტერესოა. ამიტომ ნაკრებისა და კლუბის მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს ეგვიპტიდან დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ

— ეგვიპტეში საუკეთესო პირობებში ვცხოვრობდით და ვვარჯიშობდით. საამისოდ ყველაფერი გააკეთა ჩვენმა იქაურმა საელჩომ. კონსული ალექსანდრე ბაქრაძე იმ ერთი კვირის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებია. ვვარჯიშობდით დღეში ორჯერ. არ გვაკლდა საუკეთესო საკვები, აუზი... თავისუფალ დროს ქვეყანას ვათვალიერებდით. ვნახეთ ეგვიპტური საოცრებები — პირამიდები, ალექსანდრიის განთქმული შუქურა, ქრისტიანული სალოცავი საჰარის უდაბნოში. საერთოდ, ეგვიპტეში ხუთი ისეთი ბრწყინვალე ეკლესია დავათვალიერეთ, რომელთა მსგავსი ქრისტიანულ ქვეყნებშიც კი იშვიათად მინახავს. მოკლედ, ვარჯიშისა და დასვენებისთვის მართლაც საუცხოო პირობები იყო.

იქაურ კლუბებთან სამი მატჩი გავმართეთ და სამივე მოვიგეთ. ქაიროს გუნდებს — „ჰელიოსსა“ და „ჰერმესს“ შესაბამისად 31:21 და 33:17 მოვუგეთ, ხოლო ალექსანდრიის „სპორტინგს“ — 25:21. ეგვიპტის მიმდინარე ჩემპიონატში „ჰელიოსი“ მეორეა, „სპორტინგი“ — მესამე. იქაური ხელბურთის დონეზე მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში მათი ნაკრების გამოსვლაც მეტყველებს. იქ მათ მეშვიდე ადგილი დაიკავეს და სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიაც მიიღეს. ამით კი თავისი სიტყვა თქვეს არა მარტო აფრიკულ, არამედ მსოფლიოს ხელბურთში.

**— მოგება კარგია, მაგრამ ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხმა თუ დაგაკმაყოფილათ. ამ მხრივ რამდენად ნაყოფიერი იყო ეს შეკრება?**

— დღეს ყველაფერი ნაკრების ინტერესებს ექვემდებარება. ეგვიპტეშიც ის ტაქტიკური სქემები გამოვცადეთ, რომლითაც დანიელებთან ვითამაშებთ. ისინი ძალიან სწრაფები არიან. მათ დაცვით ტაქტიკას დავუპირისპირებთ. ეგვიპტეშიც ამაზე ვიმუშავეთ. ჩვენი მიზანია, თამაშში 20 გოლზე მეტი არ გავუშვათ. როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ამ შეკრებამ ამ მხრივ თავისი მისია შეასრულა. თუმცა ამჟამად სხვადასხვა მიზეზთა გამო არ გვახლდა ნაკრების ოთხი წევრი — ტიტე კალანდაძე, გარი თურქია, ანდრო ანდრიაშვილი და ზვიად ფერაძე. ამიტომ შემადგენლობაში თუ ტაქტიკურ სქემებში გარკვეული კორექტივების შეტანა გვიწევდა.

მთლიანობაში თამაშების ხარისხმაც დამაკმაყოფილა. ბიჭებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს „სპორტინგთან“, ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს.

**— რას გულისხმობთ?**

— სწრაფ, მიზანმიმართულ და დამაჯერებელ თამაშს, რისი წყალობითაც კარგად ორგანიზებულ მეტოქეს აჯობეს. არადა, ალექსანდრიელებს კარგი გუნდი ჰყავთ. მათგან სამი კაცი ნაკრებში თამაშობს, რომელთაგან ორი ძალიან მაღალია. ასეთ მეტოქეს კი ჩვენებმა ტოლი არაფერში დაუდეს. თანაც, ჩვენთვის უჩვეულო სიცხეში.

**— გუნდის თამაშში არაერთი ხარვეზი შეიმჩნეოდა, რომლებზეც ადრეც გვისაუბრია. ამ შეკრებაზე, ალბათ, მათ აღმოსაფხვრელადაც იზრუნებდით.**

— ადრე მართლაც ბევრი იყო ელემენტარული შეცდომები, როცა მარტივ სიტუაციაში ბურთს ვკარგავდით. ამ დეფექტის აღმოსაფხვრელად შეკრებაზე ბევრი ვმუშაობდით. შემიძლია გითხრათ, რომ არც კვიპროსელებთან და არც დანიელებთან იმდენ შეცდომებს არ დავუშვებთ. შეცდომები იქნება, მაგრამ გაცილებით ნაკლები. ამაში თავად დარწმუნდებით.

**— შეიძლება ითქვას, ეგვიპტური შეკრებით ყოველმხრივ კმაყოფილი ხართ.**

— რომ არ ყოფილიყო ის სამი თამაში ეგვიპტურ კლუბებთან, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლს არასრულყოფილად ჩავთვლიდი.

**— მეტოქე გუნდებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?**

— ალექსანდრიის „სპორტინგი“ ძლიერი, კარგად ორგანიზებული და დისციპლინირებული გუნდია. მათ სიძლიერეზე ნაკრების სამი წევრიც მეტყველებს. თანაც სამივე ძლიერი მოთამაშეა. ყველაზე მეტადაც მათთან გაგვიჭირდა. თუმცა მათ რომ პირობები აქვთ... მათ ხელშია საუცხოო მოედნები ყოველგვარი ინვენტარით. თანაც არა ერთი და ორი. იქ ხელბურთელს თამაშის გარდა სხვა საფიქრალი არა აქვს. იგივე შეიძლება ითქვას „ჰერმესზეც“. იქაური ბაზები ევროპულებს თუ არ აღემატებიან, არც არაფრით ჩამორჩებიან. ისეთებზე საქართველოში კარგა ხანს ვერც ვიოცნებებთ.

**— ბოლოს „სტროვოლოუსთან“ თამაშებზეც ვთქვათ.**

— გუნდი ამჟამად შეკრებაზეა თავის ბაზაზე. კვიპროსში 27-ში გავფრინდებით. ბიჭები კარგ ფორმაში არიან, რაც წარმატების იმედს იძლევა. მაგრამ დღეს მსოფლიოს ხელბურთში ძალები იმდენად გათანაბრდა, რომ წინასწარ მოგებას ვერავისთან დაგეგმავ და ზემოდან ვერავის დახედავ. ამას ეგვიპტელთა მიღწევაც ადასტურებს.

**ირაკლი თავაძე**



# ნუ გაუბრაზდებით ჯენტლმენ ჭოჭუას!

ქართულ საჭიდაო სამყაროს თუ ვინმეს იმედი აქვს, მათ შორის ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ დღევანდელი ნაკრებიცაა. ამ ოპტიმიზმის საფუძველს გუნდის წლევანდელი შედეგები იძლევა — ევროპის ჩემპიონატზე მათ ხუთი მედალი (ორი ოქროსა და სამი ბრინჯაოსი) მოიპოვეს. ამას ახლახან, ბუქარესტში, თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მიუმატეს. წინა წლების მონაგარზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. მერე როგორ პირობებში აღწევენ ასეთ შედეგებს? არც საერთაშორისო ტურნირები, არც შეკრებები, არც საშეჯიბრო პრაქტიკა, არც სათანადო პირობები... მწვრთნელებმა თითოეული შეკრების, თითოეული ტურნირისთვის სოლომონ მორბელაძესავით კარდაკარ უნდა ირბინონ. გამონაკლისი არც მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდი ყოფილა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით გვესაუბრება მოსამზადებელ ციკლზეც და უკვე გასრულებულ მსოფლიოს პირველობაზეც



ირაკლი ჭოჭუა

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი შეკრების იმედით წავედით. რომ არა თბილისის სპორტის სამმართველო, იმასაც არავინ მოგვიწყობდა. დეპარტამენტი თავიდან ბუქარესტში წასაყვანად ევროპის პირველობის მედალოსნების — ირაკლი ჭოჭუას (54), ალექსანდრე დოხტურიშვილის (69), ბადრი ხასაიას (76), ილია ლეჟავას (97) და გიორგი წურწუმიას (მძიმე) დაფინანსებაზე დაგვთანხმდა, მაგრამ ბოლოს გიორგი რურუაც (85) დავამატებინეთ. გარდა ამისა, აჭარის სპორტდეპარტამენტმა მანუჩარ ვერძაძე (58), ხოლო ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა სიორიძემ თეიმურაზ თხილაიშვილი (63) გამოაგზავნა და ამ გუნდით წავედით ბუქარესტში. იქ მზის დაბნელებასაც ვუყურეთ. ისე ვიყავით გართული ჩვენი საზრუნავით, რომ ეს კიდეც გადაგვავიწყდა. ამიტომ, როცა ჩამობნელდა, ცოტა კიდეც შეგვეშინდა, მაგრამ საბოლოოდ ლამაზ სანახაობას შევესწარით, რომლისთვისაც ქალაქს უამრავი ტურისტი მიაწყდა. მანამ კი თურქეთიდან სულ რაღაც ხუთი საათით ადრე გავფრინდით, სანამ ის დამანგრეველი მიწისძვრა მოხდებოდა. ჭოჭუამ და ლეჟავამ ვერცხლის, ხოლო დოხტურიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

**— ელოდით ამ შედეგს? თქვენ ხომ მოსამზადებელი ციკლი არც გქონიათ.**

— წინდაწინ დაგეგმვა არც მჩვევია და ძნელიცაა. მთლიანობაში შედეგები კარგია, გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავედით, მაგრამ ჩემპიონობა მაინც სხვაა. ჩემპიონიც რომ გვყოლოდა... თუმცა აქ სხვა მომენტებიცაა. ევროპის ჩემპიონატზე გერმანელები უმედლოდ დარჩნენ. ბუქარესტში კი მობილიზებულები, ხუთი მსაჯით ჩამოვიდნენ. მათ თავიანთი სიტყვა თქვეს. სამწუხაროდ, ორჯერ ჩვენებთანაც. ყველამ იცის, რომ დოხტურიშვილი ჩოქბჯენში ძლიერია და მეტოქე ერთხელაც არ დაუყენეს ამ მდგომარეობაში. თხილაიშვილი კი აშკარად დაჩაგრეს. ის ილეთის გაკეთებისას, ტრიალში ბეჭებით შეეხო ხალიჩას, რისთვისაც მსაჯებმა მის მეტოქეს წმინდა მოგება ჩაუთვალეს. ეს კი არასწორია. ჩვენთან სუფთა მოგება მაშინაა, თუ მეტოქემ ბეჭებით დაგახეთქა ხალიჩაზე.

**— ოქრომდე ბევრი დაგაკლდათ?**

— ლეჟავა ფინალში მასზე რეალურად ძლიერ ამერიკელს შეხვდა. სულაც არ გამიკვირდება, მისმა მეტოქემ სიდნეის ოლიმპიადამდე თავისი სიტყვა დიდებშიც თქვას, თუმცა რაღაც შანსი მაინც იყო. საქმე ისაა, რომ ლეჟავამ ჩოქბჯენში დაკარგა ქულა, რაც აქამდე, მგონი, არ მოსვლია. ჭოჭუამ კი ჩემპიონობა რუსს აჩუქა. ოღონდ ეს ჯენტლმენობა იყო თუ სხვა რამ, არ ვიცი.

**— რას გულისხმობთ?**

— ჭოჭუა თავიდან აგებდა 3:11-ს. ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევა, თავიდან დიდი სხვაობით აგებდა, მაგრამ მერე უეცრად აფეთქებულა და საქმე თავის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. ახლაც ასე იყო. თანაც მეტოქეს წმინდა საჭიდაო ეპიზოდში ხელი იდაყვში ამოუგდო. მსაჯები ის იყო ოქმში მოგებას უფორმებდნენ, რომ რუსებმა თავიანთი ხელშეხვეული მოჭიდავე ისევ ხალიჩაზე გამოუშვეს. ჭოჭუა ნატკენ ხელზე არ ეკარებოდა, თუმცა ანგარიში კი გაუთანაბრა. შეხვედრა მთავრდებოდა, როცა ირაკლიმ მეტოქეს ერთი იოლი ქულაც აჩუქა. უცხოელები გაოცდნენ, ქართველები ვინ ყოფილხართო. ეს კი მიხაროდა, მაგრამ ოქროსაც მივტიროდი.

**— ხომ არ დატუქსეთ ამისთვის?**

— ცოტა ცხარე საუბარი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ საქმეს რა ეშველებოდა.

**— ჭოჭუას ოქრო რომ აეღო, გუნდურ პირველობაში რამე შეიცვლებოდა?**

— არა, რადგან რუსები ხუთი ოქროს მედლით ძალიან წინ გაიჭრნენ

**— ევროპაზე ლეჟავასგან მედალს არ ელოდით, მან კი ბრინჯაო მოიპოვა. ახლა მასზე რა იმედებს ამყარებდით?**

— მედალი მოულოდნელიც არ ყოფილა. სავარაუდო მეტოქეები და მისი შესაძლებლობებიც ვიცოდით. მაგრამ არასაკმარისმა მოსამზადებელმა პირობებმა მაინც თავისი გააკეთა.

**— ალექსანდრე დოხტურიშვილი ბრინჯაოს ვერც ევროპაზე გასცდა და ვერც მსოფლიოზე.**

— გერმანელთან ზემონახსენები ის შეხვედრა რომ არა, ბუქარესტში გაცილებით მეტს მიაღწევდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენც გვახლდა მსაჯი — ედიშერ მაჩაიძე, რომელიც ისევ ქალაქის სპორტის სამმართველომ გამოგვაყოლა. ამიტომ მაინცდამაინც ბევრს ვერ გვიბედავდნენ. ის რომ არ გვყოლოდა...

**— ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი ბადრი ხასაია ამჯერად პრიზიორებშიც ვერ მოხვდა...**

— მან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო და ისიც გაფრთხილებებით. ის შეკრების ბოლოს გაცივდა და ეს მის ჭიდაობასაც დაეტყო. საბოლოოდ მეხუთეზე გავიდა.

**— პრიზიორებში ვერც ევროპის წლევანდელი ბრინჯაოსმედალოსანი გიორგი წურწუმია მოხვდა**

— ბუქარესტში ის მეოთხე იყო. ნახევარფინალი წააგო იმ რუს მეტოქესთან, რომელსაც ევროპაზე მოუგო. ეს გაუმართლებელი მარცხია. მერე ვეღარც მესამე ადგილისთვის იყოჩაღა.

**— სამი მედალი ურიგო არაა, მაგრამ მეტის მიღწევაც თუ შეგეძლოთ?**

— მეტის მიღწევას მეტი პირობები უნდა, თუმცა თხილაიშვილი მსაჯებს რომ არ დაეჩაგრათ, არც უმაგისობა იქნებოდა. შეკრების პერიოდში რურუაც სამჯერ გაცივდა და ფორმიდან ამოვარდა. როცა ევროპის ჩემპიონატიდან დავბრუნდით, მაშინაც გითხარით, გუნდს სამი შეკრება მაინც სჭირდება-მეთქი, მათ შორის პირველი, მხოლოდ დასასვენებლად, განტვირთვისთვის. სამი კი არა, დეპარტამენტმა ერთიც ვერ მოგვიწყო.

**— გაისად გუნდის რამდენადმე გადახალისება მოგიწევთ, რადგან ლიდერებმა დაამთავრეს ამ ასაკში ჭიდაობა.**

— დიახ, ირაკლი ჭოჭუამ და ბადრი ხასაიამ უკვე გადააბიჯეს ახალგაზრდულ ასაკს. ორივე ძალიან პერსპექტიულია, მომავალი ოლიმპიელია. მათ ხელშეწყობა სჭირდებათ.

**ირაკლი თავაძე**

# კუბელი რძლის ოქროს მზითევი


ნიურკა მონტელვო

კუბელ სიგრძეზე მხტომელ ქალს ნიურკა მონტელვოს ერთი ესპანელი ბიჭი შეუყვარდა ნამეტნავად, ის ჯეელიც არ იყო თურმე გულგრილი და შარშან შეყვარებულებმა ჯვარიც იწერეს. ეგ იყო და, დაფაცურდნენ ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცები, კუბელ რძალს სასწრაფოდ ესპანეთის მოქალაქეობა უბოძეს და მას შემდეგ ნიურკაც ესპანეთის სახელით ასპარეზობს საერთაშორისო სარბიელზე.

კაი რძალი შემოვიდა ჩვენს ოჯახშიო, პირინეელებს ამის თქმის სრული უფლება აქვთ. ნიურკა მონტელვომ სევილიაში მიმდინარე მძლეოსანთა მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ქმრის სამშობლოს პირველი ოქროს მედალი აჩუქა, თან ეს სანატრელი ჯილდო ისეთ ცნობილ მეტოქეებთან დავაში ირგუნა, ამერიკელი მარიონ ჯონსი, იტალიელი ფიონა მეი და რუსი ლუდმილა გალკინა რომ არიან.

მოშურნეებს რა გამოლევს ქვეყანაზე, ნიურკას ჩემპიონობაც ბევრს არ ესიამოვნა და ჭორ-მართალიც ერთმანეთში აირია. აქაოდა ბოლო ცდაზე მონტელვომ ხაზს ფეხი დააბიჯა, მსაჯებმაც კი ნახტომი მაინც ჩაუთვალეს და ოქრო მასზე არამიაო, მარიონ ჯონსის ხაზზე დადგმული ფეხი კი უმალ შენიშნეს და ამერიკელი ქალი დაჩაგრესო, ისე, მითქმა-მოთქმას თავი ვანებოთ და ვინც გუშინწინ სევილიის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ სიგრძეზე მხტომელ ქალთა ფინალურ შეჯიბრს უცქირა, დამეთანხმება, რომ ესპანელთა კუბელ რძალს მსაჯებმა აშკარად ხელი გაუმართეს. ამით კი მარიონ ჯონსზე მეტად იტალიელი ფიონა მეიმ იზარალა, რომელიც მონტელვოს ბოლო ნახტომამდე (7,06მ) 6,94 მეტრზე გადამხტარიყო და მსაჯებს რომ ენამუსათ, ოქროც მას დარჩებოდა. ასეა თუ ისე, ნიურკა მონტელვო ჩემპიონი გახდა. ფიონა მეი ვერცხლს დასჯერდა, მარიონ ჯონსმა კი წინა დღით 100 მეტრზე მოპოვებულ ოქროს ბრინჯაოც დაუმატა.

ათენის 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელმა ბადროს მტყორცნელმა ქალმა ფრანკა დიჩმა საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ დაძლია. მაშინ ახალზელანდიელმა ბეატრის ფაუმუნამ იმარჯვა. სევილიაში კი დიჩმა ბადრო ყველაზე შორს — 68,14 მეტრზე ტყორცნა, თავად ოქრო ირგუნა, ბერძენი ანასტასია კელესიდუ (66,05) და რუმინელი ნიკოლეტა გრასუ (65,35), შესაბამისად, ვერცხლსა და ბრინჯაოს დააჯერა. ზემონახსენებმა ბეატრის ფაუმუნამ კი მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

კუბელი მსოფლიოს რეკორდსმენი, სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი ამასწინათ ვინიპეგში დასრულებულ პანამერიკულ თამაშებზე კოკაინის ყნოსვაში დაადანაშაულეს და საერთაშორისო სარბიელიდან ორი წლით მოკვეთეს. ჰოდა, უძალლო ქვეყანაში კატები ყეფენო, ზუსტად ასე წარიმართა სიმაღლეზე მხტომელ კაცთა შეჯიბრი სევილიაში.

რუსი ვიაჩესლავ ვორინინი აქამდე მხოლოდ მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობებზე ყოჩაღობდა, შარშან და წლეულს ვერცხლიც მოიპოვა, ღია სარბიელზე კი თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა უსოტომაიოროდ სევილიაში ისე იფრინა, ჩემპიონის ტიტული ირგუნა — 2,37 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო დ კანადელ მარკ ბოსუელსა (2,35)და გერმანელ მარტინ ბუსს (2,32) ზემოდან გადმოხედა.

გაჩემპიონებული რუსი შეჯიბრის მერე გამართულ პრესკონფერენციაზე ამაყად წარუდგა ჟურნალისტებს და იმდენი ილაპარაკა, ჩვენს კოლეგებს თავი მოაბეზრა. მისი ნაამბობიდან კი მხოლოდ იმას გაცნობებთ,რაც ვორონინმა სოტომაიორზე თქვა: „დარწმუნებული არ ვარ ხავიერის მიერ კოკაინის მოხმარებაში, ისე კი, ასეთი ძლიერი ნარკოტიკი მართლაც ხელს უწყობს სპორტსმენებს მაღალი შედეგების მიღწევაში. სევილიაში სოტომაიორიც რომ ყოფილიყო, ჩემპიონი მაინც გავხდებოდი“. ერთი სიტყვით, ვორონინმა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო.


ვიაჩესლავ ვორონინი

ახლა კი, ამპარტავან რუსს თავი გავანებოთ და 3000 მეტრზე წინაღობებით მორბენლებზე ვილაპარაკოთ, მით უფრო, მათ შეჯიბრს ინტრიგას კენიელების ბერნარდ ბარმასაისა და კრისტოფერ კოსგეის ასპარეზობა მატებდა. საქმე ისაა, რომ ამასწინათ „ოქროს ლიგის“ ციურიხულ ეტაპზე გამარჯვების მერე ბარმასაიმ საქვეყნოდ განაცხადა, სტარტის წინ კრისტოფერს ვთხოვე, თუ ძმა ხარ, მომაგებინე, მილიონის დაუფლების კარგი შანსი მაქვს და არ დამალალატოო. მართალია, კოსგეიმ თვისტომთან გარიგება უარყო, თუმცა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ყურები ცქვიტა და გამოძიებაც დაიწყო.

ვიდრე IAAF-ის ჩინოსნები [illegible] გამოიტანენ, მანამდე, როგორც გითხარით, კენიელები მსოფლიოს ჩემპიონატზე [illegible] კოსგეიმ, ახლაც რომ წავაგო, კიდევ რამე შარი არ მომდონო და ისე ირბინა, მისი დამწევი არავინ აღმოჩნდა. კრისტოფერმა დისტანცია 8.11,76 წუთში დაფარა, მეორე ასევე კენიელი უილსონ ბოიტ კიპკეტერი (8.12,09) იყო, მესამე მაროკოელი ალი ეზინე (8.12,43)

ენაჭარტალა ბარმასაი (8.13,51) კი სევილიაში მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

სოსო ძოწორეიშვილი

## ტექნიკური შედეგები

### 24 აგვისტო. სამშაბათი

უროს ტყორცნა (ქალები)
1 მიხაელა მელინტე (რუმინეთი) — 75,20 მ
2 ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) — 72,56
3 ლისა მისიპეკა (სამოა) — 66,06

სამხტომი (ქალები)
1 პარასკევი ციამიტა (საბერძნეთი) — 14,88 მ
2 ჯამილა ალდამა (კუბა) — 14,61
3 ოლგა-ანასტასია ვასდეკი (საბერძნეთი) — 14,61

800 მ. (ქალები)
1 ლუდმილა ფორმანოვა (ჩეხეთი) — 1.56,68 წთ
2 მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 1.56,72
3 სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) — 1.56,93

1 500 მ. (კაცები)
1 ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) — 3.27,65 წთ
2 ნოა ნგენი (კენია) — 3.28,73
3 რეის ესტევესი (ესპანეთი) — 3.30,57

10 000 მ. (კაცები)
1 ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) — 27.57,27 წთ
2 პოლ ტერგატი (კენია) — 27.58,56
3 ასეფა მეზგებუ (ეთიოპია) — 27.59,15

ბადროს ტყორცნა (კაცები)
1 ენტონი ვაშინგტონი (აშშ) — 69,08 მ
2 იურგენ შულტი (გერმანია) — 68,18
3 ლარს რიდელი (გერმანია) — 68,09


კრისტოფერ კოსგეი (№870)



# სავონი და ფალიანი წინ მიიწევენ

## ქართველებს სულთანოვიღა დარჩათ

ჰიუსტონში მიმდინარე მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები სამი კაცის — პაატა გვასალიას (63,5 კგ), გოჩა აბაშიძისა (67) და მურად სულთანოვის (75) შემადგენლობით გაემგზავრა. ამათგან უპირველესად გვასალიასი გვეიმედებოდა. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ მოკრივეს ვერც გამოცდილებას და მით უფრო ვერც ოსტატობას დაუწუნებს კაცი, მაგრამ ჰიუსტონში პაატა ტაილანდელ ჯაკრიტ სუვუნალირდთან ვერას გახდა და ჩემპიონატს გამოეთიშა.

გვასალიას ბედი გაიზიარა ბათუმელმა გოჩა აბაშიძემ, რომელიც ტოლ-სწორად კი ებრძოლა ლიტველ კესტუტის სანდანავიჩიუსს, თუმცა მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვება ბოლოს ბალტიისპირელს მიაკუთვნეს.

ჯერჯერობით წაუგებლად ასპარეზობს მურად სულთანოვი. მან კორეელი ჰოჟუ კიმი 5:1 დაამარცხა და მომდევნო წრეშიც გავიდა.

ახლა კი სხვებზეც ვთქვათ.

სამოყვარულო კრივის კუბელმა ლეგენდამ, ფელიქს სავონმა კვლავ გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა.

სავონს გვარიანი ოფლისღვრა მოუხდა მასზე თხუთმეტი სანტიმეტრით დაბალ რუს ანდრეი კომბარონთან ბრძოლაში და შეხვედრის ბედი უკანასკნელ რაუნდშიღა გადაწყვიტა ორი ზუსტი დარტყმით. მთელი ჯორჯ ბრაუნის სახელობის დარბაზი რუსს ქომაგობდა, მაგრამ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ კუბელს ეგეებით ვერ შეაშინებ.

და საერთოდ, ორშაბათ საღამოს კუბელებმა თავიანთი ექვსი ბრძოლიდან ხუთი მოიგეს: ვალდემარ ფონტ კინტერომ იოლად სძლია ბულგარელ დიმიტარ ოგნიანოვს და მარიო კინდელანმა არცთუ იოლად უზბეკ ტემურ სულეიმანოვს. მეოთხედფინალში გავიდნენ დიოგენეს ლუნა და უმბერტო სავინიც. აი სუდელ ხონსონი კი თურქული დროშის ქვეშ მოასპარეზე რამაზ ფალიანმა დაჩაგრა — 11:2.

სომეხმა არტემ სიმონიანმა კვლავ მინიმალური უპირატესობით დაჯაბნა თავისი ძველი მეტოქე, უნგრელი იანოშ ნაგი. ამერიკელები კი განსაკუთრებით გაახარა მათი მძიმეწონოსნის მაიკლ ბარნეტის გამარჯვებამ. ბარნეტმა ჰოლანდიელი პატრიკ მასტერსი დაამარცხა. მისმა ქვემძიმეწონოსანმა თანამემამულემ მაიკლ სიმსმა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რახანლა ამერიკის პირველობა და განთქმული „ოქროს თათმანი“ მოუგია, ბრიტი დევიდ ჰეი გამოთიშა შეჯიბრიდან.

ალბერტ ხაჩატურიშვილი



# პირველი პარტია შავებისაა

სომეხმა ვლადიმერ აკოფიანმა ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაში გაინაღდა და ამ უქმეებზე მისი ყურადღება რუსი ალექსანდრ ხალიფმანის და რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუს შეხვედრისკენ იყო მიპყრობილი. სწორედ ამ მატჩს უნდა დაესახელებინა მისი მეტოქე.

პეტერბურგელმა დიდოსტატმა ხალიფმანმა შეძლო რუმინელის დამარცხება და ეს ორი დღეა აკოფიანთან გააჩაღა ფინალური ბრძოლა, რომელიც ექვსი პარტიისგან შედგება.

ხალიფმანი პირველ პარტიაში შავი ფიგურებით თამაშობდა და ნისიპეანუს დამარცხებით გულმოცემულმა 57-ე სვლაზე აკოფიანიც აიძულა დანებებულიყო. მეორე პარტიაში კი მეტოქეებმა ერთმანეთი დაინდეს და მეთვრამეტე სვლაზე მშვიდობიანად გაიყარნენ.



REUTERS ლაუდერდეილიდან

# ყველაზე ღონიერი

ეს ბოსტონელი კაცი ორმოცდათერთმეტი წლისაა და ჯონ ვუტენი ჰქვია. იფიქრებთ, გიჟიაო. აბა, რას იფიქრებთ, როცა ფორტ ლაუდერდეილის ნავსადგურში ოცდათორმეტი მილიონი გირვანქის სიმძიმის გემს დაბღაუჭებულ ბიძას შეხედავთ. არადა, ძია ჯონი გიჟი არ არის. ძია ჯონი მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცია და ეს გემიც, „აილენდ ედვენჩა" რომ ჰქვია, ადგილიდან დაუძრავს ქარიან ამინდში. აი, ჯანი...



REUTERS ლონდონიდან

# შიშველი გადარეული

ლონდონში ინგლის — ახალი ზელანდიის საკრიკეტო ტესტი კინაღამ იყო, ჩაიშალა, რახანღა მთვრალი და შიშველი მოქალაქე ზედ ვიკეტზე გადმოხტა და გაინავარდა. ქალი მაინც ყოფილიყო, თვალს გაახარებდა.

# მიკა მაღაროში



REUTERS გელზენკირხენიდან

რურის ოლქი. გერმანიის პროლეტარიატის სამშობლო. მაღაროელთა და მადნისმომპოვებელთა მხარე. გელზენკირხენის მაღაროები. თუ გულადი კაცი არა ხარ, მაღაროელი ვერ გახდები. მიწისქვეშეთში სიცოცხლე წამია. მაგრამ ავტომრბოლებიც გულადი ხალხია. ისინი თავიანთ მიწისზედა მაღაროში მოღვაწეობენ. ამიტომაც, მიკა ჰაკინენის ჩასვლას გელზენკირხენის მაღაროში, არავინ გაუოცებია. გული გულს იცნობს, გულადი — გულადს.

# ბრძოლაში შემოტეხილი

ასეც ხდება! ბეისბოლისტთა მონდომება და გარჯა ზოგჯერ იმდაგვარია, მოხდენილი კეტი ხელში შემოატყდებათ ხოლმე. აი, რა დაემართა სენტლუისელ კარდინალთა ფერნანდო ტატისს ნიუ იორკში, იქაურ „მეტსის" წინააღმდეგ — პირველივე ინინგისას ის ნაცადი ჰოროლი ხელში შემოეხარჯა.



REUTERS ნიუ იორკიდან

## უეფას თასი. I ეტაპი. II წრე
24 აგვისტო



ცსკა (ბულგარეთი) 5:0 პორტდაუნი (ჩრ. ირლანდია) (3:0)
1:0 პეტკოვი (14პ), 2:0, 3:0 ლიტერა (28, 49), 4:0 რ. ხრისტოვი (55პ), 5:0 სიმეონოვი (78)
შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2 კრივბასი (უკრაინა) (0:3)
0:1, 0:2 სიმაკოვი (24, 67)

## ინტერტოტოს თასი. ფინალი. II წრე
24 აგვისტო



მეცი (საფრანგეთი) 1:3 ვესტ ჰემი (ინგლისი) (1:0)
0:1 სინკლერი (23), 0:2 ლამპარდი (42), 1:2 იესტროვიჩი (69), 1:3 ვანჩოპე (80)
ჰამბურგი (გერმანია) 1:1 (0:3პ) მონპელიე (საფრანგეთი) (1:1)
1:0 იებოა (22), 1:1 სორლინი (70)
რენი (საფრანგეთი) 2:2 იუვენტუსი (იტალია) (0:2)
1:0 დიუფი (20), 1:1 კონტე (29), 1:2 ძამბროტა (72), 2:2 ნონდა (90)

## რუსეთი
გადადებული მატჩი
ურალანი 2:1 როსტსელმაში

## ავსტრია
გადადებული მატჩი
ბრეგენცი 1:1 ავსტრია

## ინგლისი
V ტური

მიდლსბრო 0:3 ლესტერი
0:1 ჰესკი (35), 0:2 კოტი (38), 0:3 ჰესკი (83)
უოტფორდი 0:1 ასტონ ვილა
0:1 დილანი

ლიგის თასი. I ეტაპი. II წრე

ბარნეტი — ბორნმუთი 3:2; ბარნსლი — ლინკოლნი 2:2; ბოლტონი — დარლინგტონი 5:3; ბრისტოლი — კემბრიჯი 2:1; ბარნლი — მანჩესტერ სიტი 0:1; ჩელტენემი — ნორვიჩი 2:0 (2:1დდ); ჩესტერფილდი — როჩდეილი 2:1; ქრიუ — ჰარტლპული 1:0; კრ. პალასი — კოლჩესტერი 3:1; ექსეტერი — ბირმინგემი 1:2; ფულემი — ნორთჰემპტონი 3:1; ჯილინგემი — ბრაიტონი 2:0; გრიმსბი — კარლაისლი 6:0; ჰადერსფილდი — სკანთორპი 0:0; ჰალი — როტერჰემი 2:0; იფსვიჩი — ბრენტფორდი 2:0; ლეიტონი — სვინდონი 1:1; მანსფილდი — ნოტინგემი 1:0; მილუოლი — სუონსი 1:1; ნოტსი — ბერი 2:0; ოლდემი — სტოკპორტი 1:1; ოქსფორდი — საუთენდი 1:0; პიტერბორო — რედინგი 1:2; პლიმუთი — უოლსოლი 1:4; პორტსმუთი — ტორკი 3:0; პორტ ვეილი — ჩესტერი 4:4; შრიუსბერი — შეფილდი 0:3; ტრანმერი — ბლეკპული 3:1; ვესტ ბრომვიჩი — ჰალიფაქსი 5:1; უიგანი — იორკი 2:1; ვულვერჰემპტონი — უიკომბი 2:4; რექსემი — პრესტონი 0:2

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3



REUTERS სევილიიდან

# სამეფო ამბორი

განა ცუდია, როცა სპორტის ერთბაშად შვიდ სახეობაში გამარჯვებულ ქალიშვილს უფლისწული ჩაკოცნის? ეს ამბავი სევილიაში ხდება, მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მონაკოს პრინცი ალბერი ოქროს მედლითა და მეფური კოცნით აჯილდოებს შვიდჭიდის ჩემპიონ ფრანგ გოგოს ანუკ ბარბერს. ბარბერი ტომით სიერალეონედანაა, მაგრამ ახლა ფრანგია და აგე, უფლისწულებსაც კი შეწვდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli